საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარეგო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

პარასკევი 27 დეკემბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი 50 კაპ.

ერთეული ნომერი

გაზეთი ღირს: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას ორი უკვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიათა მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან აღარ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოსაწერი ფული—[illegible] ხით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 281 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 281

ალექსანდრე ლუკაშევიჩ-, ცოლით ნეოთი და დედით მარიამით ღრმა ბწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგთ, ძვირფასი ძმის

პოლია ნესტორის ძე მელაძის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა შოსთეგა ქალაქ ხონში 28 ქრისტეშობისთვეს.

(2—2)

თავზარ დაცემული მეუღლე სიმონ (იგივე სინო) დიმიტრის ძე გამყრელიძე გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავ ნაცნობთ, რომ პარასკევს, 27 დეკემბერს ახალი სტილით გარდახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მისი საყვარელი ცოლშვილის:

ლიზა, გიორგი, ივეროკულოს ასული, ლენა და ლეუშა გამყრელიძეების

სულის მოსახსენებლათ პეტრე პავლეს სასაფლაოს ეკლესიაზედ.

თფილისის რკ. გზის ნე 5 ე რაიონის ტექნიკური და კომერციული სექციის გამგეობა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის

ლეონტი ფანცულაიას

დაკარგვას, რომელიც გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე სანაინთან ბრძოლაში.

პირველი რაიონის ს. გ. შტაბი მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და ამხანაგებს

ზაქარია (სანდრო) შიოს ძე ზაალიშვილის

გმირულად დაკარგვას, სომხის ჯართან შეტაკების დროს. დასაფლავება მოხდება 27 დეკემბერს ძმათა სასაფლაოზე ნაძალადევში ნაშუადღევის 3 საათზე.

ქართული სამუსიკო საზოგადოება
სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, 30 დეკემბერს გაიმართება

ეროვნული კონცერტი
დ. არაყიშვილის თხზულებიდან

მონაწილეობას იღებენ: ქ.ქ. ო. ა. შულგინა, ე. ა. ხორინა, ბ.ბ. ფ. ნ. პოლიევი, ი. პ. სარაჯიშვილი და სიმფონიური ორკესტრი სახელ. თეატრის.

დასაწყისი 7 საათზე.

შაბათი 28 დეკემბ. **თფილისის მოქალაქენო!** შაბათი 28 დეკემბ.

დაეხმარეთ იმათ, ვინც თავისი სისხლით უზრუნველ ჰყოფს თქვენს თავისუფლებას და მშვიდობიან არსებობას! დაამზადეთ ყოველგვარი შემოწირულება. ყველაფერს უღრმესი მადლობით მივიღებთ. ქალაქის ყოველ უბანში შეგროვებენ ავტომობილებით შემოწირულებას.

საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტი.
თავმჯდომარე ნ. გაბაშვილისა.

გოლოვინის პროსპექტი, № 24. (3—3)

ზავი და მოკავშირენი

სომხეთთან ომის შეჩერებისათვის ზრუნავს მოკავშირეთა დიპლომატია, რომელიც თფილისშია ჩამოსული. სომხეთის მთავრობასა და დაშნაკელების ავანტიურისტებსაც, ეტყვი არაა, ისედი ქონდათ ამ უკანასკნელთა ჩარევისა, როცა შიშველ-ტიტველ ხალხს საომრათ ამხედრებდნენ და აჯანყებისათვის იწვევდნენ საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ.

და ეს პლანი დაშნაკელების ერთის მხრით კიდეც ხორციელდება. მათ ჩაიდინეს მუხანათობა, მათ გაამეფეს ჩვენში უსაშინელესი ბოროტება, ასტეხეს ძმათა შორის სისხლის ღვრა, და ახლა ინგლის-საფრანგეთის დროშას ეფარებიან უკან. ეს უკანასკნელნიც, რასაკვირველია, თავის საკუთარი მიზნების მიხედვით, ომის შეწყვეტას ზრუნავენ და ამით ბოროტმომქმედია პლანებს ნებით, თუ უნებლიეთ ანხორციელებენ.

ხალხში, თავისთავათ ცხადია, იბადება ეჭვი, რომ თვით ავანტიურის მწყობრი ორი ერის სამკვდრო-სასიცოცხლოთ გადამტერებაში წილი უდევს გამარჯვებულ მოკავშირეთა დიპლომატიასაც სომხეთის მთავრობასთან ერთად.

სომხეთის მთავრობა ჩვენში დღეს უსაშინელესი ბიზღის გამომწვევია. მისი ხელმძღვანელი პარტია—დაშნაკელები—დღეს სინონიმია მზაკვრობის, ცბიერობის, მოღალატეობის ფარისევლობის.

მაგრამ ჩვენ გვინდა ვირწმუნოთ, რომ ხალხი ასეთი თვალით არ შეხედავს თვით მოკავშირეებსაც: ჩვენ ვიცით, რომ მოკავშირენი ქმედებენ თავის მიზნების განსახორციელებლად, რომ მათ დიდი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები აქვთ კავკასიაში, როგორც ძლიერ ეკონომიურ სახელმწიფოებს.

მაგრამ ხალხი ხედავს არა ამ ინტერესებს, არამედ პირდაპირ მოქმედებას იმ წარმომადგენლებისას, რომელნიც აქ არიან. მათი ნებიჯების მიხედვით გადაწყდება საკითხი ჩვენი ერის გრძნობებისა ამ სახელმწიფოთადმი.

მათი აშკარა მიდგომა სომხეთის მოღალატურ მოქმედებისადმი ჩვენს ერს გულს გაუტეხს მათზე, დაცვა საბართლიანობისა ამ ორ ერს შორის კი მიიზიდავს ჩვენს სიმპატიას მათკენ.

მაგრამ რაში მდგომარეობს ეს სამართლიანობა? ომის მიზეზების გარკვევა, მის გამომწვევთა დასჯა, საქართველოს საზღვრების ამ დაუდგრომელ თავდასხმელთაგან დაცვა—აი სამკვდრო სასიცოცხლო ინტერესი საქართველოს დემოკრატიის... და ყოველი შებღალვა ამ ინტერესების იქნება ლახვარი ჩვენი ერის გულში ჩასობილი, რასაც ქართველი დემოკრატია ვერ დაივიწყებს.

ჩვენ დემოკრატიას კიდევ უფრო შორეული მიზნები აქვს. საზღვარი, მიჯნა, დემოკრატიული სახელმწიფოებრივობის განძტკიცება—ეს მთავარი გზა და ხიდია მთელ ამიერ-კავკასიაში დემოკრატიული წყობილების განსაძლიერებლად და საერთაშორისო კავშირისათვის მკვიდრი, შეურყეველი ნიადაგის მოსამზადებლად. ჩვენ არ მოგვითხოვთ ჩვენის მიზნებისთვის გარეშე ძალის დახმარებას. ჩვენ თვითონ შეგვ.ძლებთ განვახორციელოთ ის, რაც დემოკრატიას სწადია. გარეშე ძალისაგან ჩვენ მხოლოდ ერთს მოვითხოვთ: ამ საქმეში არ ჩაერიოს და სასწორის გადახრას დემოკრატიის მტრებისაკენ არ შეეცადოს.

დღეს ომის საკითხში გარეშე ძალა უკვე ჩარეულია, ჩარეულია არა ჩვენის მოწვევით, არამედ ჩვენის ნების გარეშე. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ამ ჩარევის. მაგრამ, რადგან ის მაინც ფაქტათ იქცა, ჩვენ არ შეგვიძლია, როგორც პატარა ერს ანგარიში არ გაუწიოთ მათს ასეთ მოქმედებას: ერთი უფლება კი ჩვენი მაინც უდათ უნდა იყოს აღიარებული: ესაა ჩვენი უფლება მოვთხოვოთ ძლიერსაც ეს სამართლიანობა, რომელიც განათლებულ კაცობრიობის მორალს და დემოკრატიის სვინდისს შეეფერება... და ამ ელემენტარული უფლებების დარღვევა კი არავის ეპატივება. და ვერც ჩვენი ხელმძღვანელი დაწესებულებები შესძლებენ ასეთი დარღვევის დადასტურებას, რადგან ხალხის ნება და ინტერესი მათთვის უმაღლესი კანონი არის და უმაღლეს კანონათვე უნდა დარჩეს.

მიზანი და საშუალება

ამიერ-კავკასია მეორე ბალკანეთია, ეს არა ერთხელ აღგვინიშნავს. პატარა ერებით აჭრელებული ქვეყანა, ერთი მეორეში მუდმივ მტრობის წყალობით, მუდამ ხდება მესამე სახელმწიფოს უმწეო მსხვერპლად.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ წრეებს ესმით არა ნაკლებ—ვინემ დემოკრატიას, მაგრამ ბურჟუაზიულ წრეებს სხვა საშუალებები აქვთ ამ მიზნის მისაღწევათ და დემოკრატიას კი სხვა.

ბურჟუაზიული კლასები თავის ინტერესების დასაცავად და მეზობელ ერის დასაჩაგრავად თითქმის ყოველთვის მიმართავენ თოფ ზარბაზანს, ან რომელიმე „მეგობარ" სახელმწიფოს ჩარევას. მათი მიზანია თავის ბატონობა ააგონ სხვის დაჩაგვრაზე. მათი საშუალებაა—ომი და დიპლომატია, ერთა შორის მძულვარება და მტრობა.

დემოკრატიის მიზნები და საშუალებები კი სულ სხვაა: ერთა სოლიდარობა და საერთო მშვიდობიანობა.

ამიერ-კავკასიის გარშემოც დაისვა ეს საკითხი. დაშნაკელებმა იგი ომის მიზეზათ გამოიყენეს.

ჩვენს ზოგიერთ ამხანაგებს სურთ ამ საკითხის დაყენებით ზავს მიაღწიონ. ისინი ამბობენ: საჭიროა ყველა რესპუბლიკების შეერთება ამა თუ იმ სახით. ამასვე ამბობს დაშნაკციუტუნიც. მაგრამ დაშნაკელებისთვის ეს შეერთება ისახება მხოლოდ მათი ბატონობის ფორმებში. სომხის ბურჟუაზიის უპირველეობა უნდა უზრუნველყოფილ იქნეს—აი მიზანი, აზრი და მნიშვნელობა შეერთების. თუ ეს არ იქნება—დამოუკიდებლობა მითია, მოყვრობა და მეზობლობა მაგნებელი, გაუმარჯოს ომს და უცხოელის ბატონობას, რომელიც გაგვერთიანებს ბურჟუაზიულ იდეის ქვეშ, რაც სომხის ბურჟუაზიის ბატონობას, ასე თუ ისე ნიადაგს გაუმაგრებს. ასეთია დაშნაკელების ლოდიკა.

ჩვენი ზოგიერთი ამხანაგი სოციალ დემოკრატებიც ფიქრობენ, რომ წამოყენება ამიერ-კავკასიის ფედერაციის იდეისა და მისი დღიურ წესრიგში დასმა, ეს უკვე გადაწყვეტაა ყოველგვარ სადავო კითხვების.

მაგრამ რა გზით და საშუალებით უნდათ მათ ამ მიზნის მიღწევა? რა ლონისძიების მიღებით აპირებენ ისინი ამ იდეის განხორციელებას?

დემოკრატიას სურდა და სურს მოლაპარაკება, კონფერენციის გზით მიაღწიოს ამ მიზანს.

მაგრამ ამ გზაზე მათ ელობება დაშნაკცაკანების ხმალი, რომელიც იმავე მიზნის განხორციელებას აპირებს სხვა ფორმებში და პირობებში.

ცხადია, აქ ორი პოლიტიკა ებღლება ერთიმეორეს. პოლიტიკა ზავით გაერთიანების და პოლიტიკა ომით გაერთიანების. დღეს დაშნაკცლებმა უკვე აამუშავეს ტყვია-წამალი. ცხადია, სანამ მეორე არ დამარცხებულა დემოკრატიულ საშუალებებზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს ვერ შეუგნიათ მხოლოდ ზოგიერთ ელემენტებს, რომელნიც გაიძახიან: „ზავი, რათაც უნდა დაგვიჯდესო". დღეს სწორედ კითხვა იმაშია, რომ ამიერ-კავკასიის და არა მარტო საქართველოს დემოკრატია—ნაციონალურ ომიანობის ხანაში ჩავარდება, თუ ზავს ეპოქას ჩაუყრის საფუძველს. დაშნაკელების გამარჯვება—ეს პირველი ხანის დღესასწაულია, ეს ომის დმერთისთვის ტახტის დადგმაა. მათი დამარცხებით ეს ხანა მოიკრება, მოიკვეთება და ახალი მშვიდობიანი განვითარებისთვის ნიადაგი გაიწმინდება. მაშინ შეძლება მიეცემა ამიერ კავკასიის ერთა დემოკრატიას თავის დემოკრატიული მიზნები და მისწრაფებები დემოკრატიული ზომებით განახორციელოს. ფედერაცია და კონფედერაცია შეიძლება უმთავრესად მხოლოდ ერთნაირი ძალების, ერთნაირი წყობილებების.

შვეიცარიის ფედერალური კონსტიტუცია პირდაპირ აცხადებს, რომ იგი უზრუნველჰყოფს ყველა მის შემადგენელ კანტონებისათვის დემოკრატიულ რესპუბლიკანურ წყობილებას; ცხადია, სხვა და-სხვაგვარ წყობილებას იგი არ დაუშვებს. გერმანია იყო ფედერაცია უმთავრესად მეფეების და დიდი მთავრების, ე. ი. მონარქიულ პრინციპზე მდგომ წყობილების.

და გერმანიის რესპუბლიკათ გადაქცევას მოჰყვა ყველა ამ შემადგენელ ნაწილების რესპუბლიკებათ გადაქცევა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა.

ასეა ჩვენშიაც. ერთნაირი სოციალური ელემენტების ბატონობა ყველა რესპუბლიკებში გაამზადებს ნიადაგს ფედერაციისთვის. სეიმის მაგალითმა დაგვიმტკიცა, რომ გამოიშველი, ძირითადად განსხვავებულ ძალთა შეერთება ჰქმნის მხოლოდ უძლურებას და ანარქიას. ჩვენში, ამიერ კავკასიაში, შეიძლება შეერთება მხოლოდ დემოკრატიულ ნიადაგზე, სხვა ყოველივე შეერთება ოცნებაა.

ბალკანეთის სახელმწიფოთა სოც.-დემ. დიდი ხნიდან იბრძოდა ბალკანეთის ფედერაციისთვის, მაგრამ ნაციონალისტური პოლიტიკა გაბატონებულ კლასებისა ვერ სძლია და ამიტომ ომები თავიდან ვერ აიცდინა, ფედერაციის მიზანიც ვერ განახორციელა.

ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, ერთად-ერთი სახელმწიფოა, სადაც დემოკრატია ბატონობს—ესაა საქართველო. სომხეთში კი ბურჟუაზიაა—მეუფე მდგომარეობისა. ამიტომ ჩვენში ტარდებოდა რეფორმები, სომხეთში კი ამ დროს საომარი მზადება იყო ჩვენს წინააღმდეგ. და ვისაც უნდა ამ ორ რესპუბლიკათა ძმური შეერთება, ის უნდა ეცადოს სომხეთში ბურჟუაზიის ბატონობის აღაგმვას და დემოკრატიის გაბატონებას.

სანამ აქ დაშნაკელთა სამეფოა, შეერთებას ყოველთვის წინ ჰდგოს ავანტიურა და აჯანყებულთა ღალატი გადაეღობება. სომხის სოციალისტებმა და საერთოთ ყველამ, ვისაც ამიერ-კავკასიის დემოკრატიის ბედი აინტერესებს, აქეთკენ უნდა მიმართოს თავის ენერგია, თავის ძალა. ვინც ამ ბრძოლას გაუძრბის, ვინც დაშნაკელების იარაღის დაბლაგვებას და ხმლის გადატეხას არ ცდილობს, ის სიტყვიერების ცარიელ ფრაზეოლოგიით მხოლოდ თავს იტყუებს. აქტიური დემოკრატიული პოლიტიკა გარეშე დაშნაკელების დამარცხებისა შეუძლებელია. ყოველი ნაბიჯი, რომელიც ამ საკითხს გარს უვლის და მხოლოდ „ზავსა" და „ფედერაციაზე" ფრაზებს ხარჯავს, თავისდა უნებურათ, დაშნაკელთ უწყობს ხელს. ზავი, ფედერაცია და სხვა ასეთი შედეგების მოცემა შეუძლია მხოლოდ დემოკრატიის გამარჯვებას, გამარჯვებას დემოკრატიული მთავრობისა და დემოკრატიული იდეისა.

ამ მხრივ საქართველოს ხმალი იკავს დღეს მთელ ამიერ-კავკასიის დემოკრატიის ინტერესებს, ამ ინტერესების მოსისხლე, დაუძინებელ მტრის თავდასხმისაგან. და მხოლოდ საქართველოს გამარჯვება არის დღეს გამარჯვება დემოკრატიის, გამარჯვება „ზავის და ფედერაციის" იდეების რეალურ ცხოვრებაში...

ᲞᲠᲔᲡᲐ

„შაკი" (№ 266) გუშინდელ ჩვენ მოყვანილ წერილის გაგრძელებაში ეხება სამი რესპუბლიკის შეერთების საკითხს და ასეთ ზომებზე გვითითებს: საჭიროა საბაჟოების გაუქმება, ერთი ფოსტისა და მიმოსვლის საშუალებების დაარსება, ხოლო პოლიტიკურ სფეროში დაუყოვნებლივ კონფედერაცია. შემდეგ გვპირდება იმის განმარტებას, თუ როგორი უნდა იყოს საგარეო პოლიტიკა და რითი შეიძლება დამოუკიდებელი ცხოვრების განმტკიცება.

ყოველივე ეს კარგია, მაგრამ ერთი მაინც ავიწყდება „შაკს", ასეთ კონფედერაციას, გინდ ხვაგვარ შეკავშირებას, არსებითათ ეწინააღმდეგება ის პოლიტიკა ხმლისა და აჯანყებების, რომელსაც დაშნაკცუთიუნის პარტია აწარმოებს. და სანამ სომხის რესპუბლიკაში ამ პოლიტიკის მიმდევარნი მტრობენ, მათი სიტყვები ფოსტისა და საბაჟოებზე განა დაცინვა არ არის იმ დემოკრატიის, რომელიც ფრონტზე თავის სისხლით იცავს დემოკრატიულ იდეებს? განა საქმე ფოსტასა და საბაჟოებშია, და არა დაშნაკცაკანების მუხანათურ პოლიტიკაში? ვიმეორებთ: ვისაც უნდა განახორციელოს კონფედერაცია ამიერ-კავკასიის ერებისა, მან უწინარეს ყოვლისა, უნდა ამიერ-კავკასიის ამრეკ-დამრეკი ძალა—სომხეთის დღევანდელი მთავრობა და მისი პარტია დაშნაკცუთიუნი—ჩამოიშოროს.

სომხის სოციალისტებს ჯერ ვერ გადაუდგამთ სწორეთ ამ მხრით ნაბიჯი და ამიტომ მათი ლაპარაკი და წერა ამიერ-კავკასიის გაერთიანებაზე, ისეთ უტოპიურ ქადაგების ხასიათს იღებს, რომელიც მხოლოდ მავნებელია დღეს საომრად აღმდგარი დემოკრატიისათვის. იგი მხოლოდ აჩლუნგებს ბრძოლის ენერგიას და ამით აძლიერებს დაშნაკელების პოლიტიკურ ავანტიურას, ამ ობიექტიურ შედეგების გამო ჩვენ ამ ჟამად საჭიროდ მიგვაჩნია წერა არა ფოსტა-ტელეგრაფის გაერთიანებაზე, არამედ საერთოდ დემოკრატიული პოლიტიკის მოსისხლე მტრებს დამაცხებაზე. თუ სომხის სოციალ დემოკრატებსაც მიზნათ აქვთ—ე. ი. დემოკრატიის ნამდვილი სამსახური, უნდა ჩვენ ამოგვიდგენ გვერდში ამ გადამწყვეტ ბრძოლის დროს და არა შორიდან გვიკითხონ უნიადაგო ლექციები.

* * *

გაზეთი „საქართველო" ეხება ინგლისის მისიის წინადადებას, რომელიც სისხლის ღვრის მოსპობას მოითხოვს და სამართლიანად აღნიშნავს, რომ „საქართველოს მთავრობას და მასთან ერთად მთელ ქართველ ხალხს გამოუჩენია მშვიდობიანობის მოყვარეობის განსაცვიფრებელი მაგალითი", და რა მისი ბრალია, თუ ის იძულებული გახდეს იარაღი აიღო ხელში. შემდეგ „საქართველო" აღნიშნავს იმ აღფრთოვანებას და ხალისს, რომლითაც ჩვენი ხალხი შეეგება მობილიზაციას და შესაძლებლათ თვლის ზავის ჩამოგდებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ დაკმაყოფილებული იქნება შემდეგი პუნქტები:

„მტერმა უნდა დასტოვოს ბორჩალო, ბამბაკი და ჯავახეთი. მხოლოდ ამგვარ წინადადებას სიამოვნებით შეეგებება მთელი ქართველი ხალხი. საქართველოს ტერიტორიაზე მტრის დატოვების წინადადება კი აშლის ერსა და ქვეყანას, დაბადებს წინააღმდეგობას და ქარიშხალს. საქართველოს მთავრობამ ამ საკითხში უნდა გამოიჩინოს იმ თავდადების შესაფერი ღირსება, რომელსაც ამ ომისთვის ქართველი ერი გვაძლევს".

სრული სიმართლეა. და ჩვენც ვფიქრობთ, რომ საქართველოში არ მოიპოვება ისეთი ქართველი, რომელიც სამარცხვინო ზავის მომხრე იყოს. არც თვით მოკავშირეებისათვის არის ხელსაყრელი ანარქიის ხელოვნურათ გაღვივება საქართველოში, რომელიც მთელს ქვეყანაზე წესიერების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲕᲘ

ახალციხიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ:

ახალციხის მაზრაში დღეს სრული სიწყნარე და სიმშვიდეა. ქართველ მუსულმანთა და ქრისტიანთა შორის ურთიერთობა დამაკმაყოფილებელია. პირველ იანვრისთვის ვიწვევთ გლეხთა ყრილობას და ყოველივე ზომები მივიღეთ, რომ ეს ყრილობა იყოს ნამდვილი გამომხატველი გლეხთა სულისკვეთებისა. როცა მშრომელ ხალხს ავუხსენით მიწის რეფორმის შინაარსი და მოვსპეთ ღალების შეკრეფა, ამან ბეგების და ხოჯების გავლენას სრულიად მოლო მოუღო. არ ვეჭვობთ, რომ ბეგების და ხოჯების ბატონობის დაცემას დაადასტურებს პირველ იანვარს ჩვენს მიერ მოწვეული გლეხთა ყრილობა. სრული იმედი გვაქვს, რომ პირველი იანვარი იქნება ისტორიული დღე სამუსულმანო საქართველოს მშრომელი ხალხისთვის, რომელიც საფუძველს ჩაუყრის დემოკრატიულ საქართველოსთან სრულ სოლიდარობას და საუკუნოდ ჯვარს დაუსვამს ბეგების და ხოჯების ბატონობას.

ბაიდარ აბაშიძე.

ᲓᲦᲔᲡ

25 დეკემბერს ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიკავა სოფ. დაგეტ ხაჩინი. შულავერთან ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ ფრონტზე წყნარეა.

——

საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან მიღებული ცნობებით მობილიზაცია ყველგან წესერად ჩატარდა. მობილიზაციის გარეშე დარჩენილნი მრავლად ეწერებიან მოხალისეებათ.

——

ახალციხის სამაზრო გლეხთა წარმომადგენლებს ყრილობა გაიხსნება პირველ იანვარს იქაური ქართველი მაჰმადიანი გლეხები მოითხოვენ მიწის საკითხის იმ გვარათ გადაჭრას, როგორც ეს საქართველოში მოხდა.

——

ადესაში თავმოყრილია გერმანიიდან და ავსტრიიდან მომავალი 2 ათასამდე ქართველი სამხედრო ტყვე, რომელთაც არავითარი საშუალება არ მოეპოვებათ სამშობლოში წამოსასვლელად.

——

გერმანიაში დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომპანია სწარმოებს. გერმანიის ბევრ ნაწილებში ორივე მიზართულების სოც. დემოკრატები შეერთებას ცდილობენ, მიუხედავათ იმისა, რომ სიები ცალკე გამოაქვეყნეს.

ᲒᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘ

(სამხედრო შტაბის ცნობა).

26 დეკემბერი.

გუშინ ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიპყრა სოფელი დაგეტ-ხაჩინი. შულავერთან ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ ფრონტზე წიწყნარეა.

——

გუშინ, 26 დეკემბერს, ნაშუადღევის სამ საათზე ვალ. ჯულელისაგან შემდეგი ცნობა მივიღეთ: სამი დღის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ, 25 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე ჩვენი რაზმი შევიდა სოფ. დაგეტ-ხაჩინში. მცხოვრებნი სრულიად გაიხიზნენ. ხელთ ვიგდეთ დიდძალი „ფურაჟი“ და მრავალი პირუტყვი. მიუხედავათ სასტიკი ბრძოლისა, გვარდიას თავი საუცხოოდ ეჭირა. დაჭრილი გვარდიელები რაზმს არ მოშორებიან და ბრძოლას განაგრძობდნენ. ამ სოფლის დაკავებით ჩვენი ჯარის „ზურგი“ უზრუნველყოფილია მტრის თავდასხმისაგან.

——

ახალქალაქის ფრონტი.

ვართ ჯავახეთის თოვლიან მინდვრებში. ოსმალთა ბატონობის შემდეგ მაზრაში თითქმის არც ერთი სოფელი არ დარჩენილა დაუნგრეველი, მხოლოდ რადაც განგებით შენახულა დუხობორების რვა სოფელი, რომელნიც სიხარულით ხვდებიან ჩვენს ჯარებს და ყოველმხრივათ ეხმარებიან. მარხილები, ცხენები, პური, ბინა და რაც გინდა სთხოვე დუხობორს, ყველაფერს შეელევა ის რესპუბლიკის ჯარებისათვის. „Нихай попробуютъ теперь турки и армяне грабить насъ, пришли наши войска, они помогутъ намъ“ ამბობენ დუხობორის ქალები და ტაშის კვრით ხვდებიან ჩვენს ჯარებს, იპატიჟებენ სახლებში, შეცივებულ ჯარისკაცებს ათბობენ ცეცხლთან და აძლევენ „შესათბობათ“, როგორც ოვითონ ეძახიან, არაყს. რადაც მეგობრული, მამაშვილური და ძმური კავშირი დამყარდა ჩვენსა და მათ შორის. მოდიან მოხუცები და ესაუბრებიან ჯარისკაცებს, ამხნევებენ მათ და ალერსით უამბებენ მძიმე ყანვებისაგან გაცივებულ სხეულს.

— ბატონო, ეს რა ღვთის ხალხი ყოფილა, ქრისტიანები ვართო მხოლოდ ამათ შეუძლიათ სთქვან—ამბობენ ჯარისკაცები და ნატრობენ იმ დროს, როცა შესძლებენ სამგიერო სიკეთის გადახდას დუხობორებისთვის.

ვგონებ, სამასი წელია არ სმენია ჯავახეთს ასეთი ლამაზი, მოხიბლავი ქართული სიმღერა, ვგონებ პირველათ ეხლა მოუნდა ყველასაგან დაბეჩავებულ და დატანჯულ ჯავახელს გულიანათ ხარხარი, როცა დაიღწია თავი ტყვეობაში ხეტიალს, როცა იხილა თავისი სამშობლო განთავისუფლებული, ბორკილ აყრილი და თავისი ქვეყნის ჯარებით დაბანაკებული. მაგრამ თითქო განგებას თალხები და მწუხარება უანდერძებია ჯავახეთისათვის, ის ცეცხლის რკალიდან არასოდეს არ გამოსულა და ეხლაც, სიხარულის მეორე დღეს, კვლავ ჩამოწვა მის გარშემო შავი ღრუბლები, მუდამ აწიოკებული და პარტახათ ქცეული კუთხე, დღეს ისევ მოყვა ცეცხლის ალში.

16 დეკემბერს სომხის ჯარი პირველათ დაესხა თავს ჩვენს სადარაჯო პოსტს. ამას არავინ მოელოდა, ჩვენ საზღვარზე ვიდექით, არც გვიფიქრია ფეხი გადაგვეოგა სომხეთის ტერიტორიაზე. მცირე რაზმი, რომელიც საზღვარს იცავდა, მოწყვეტილი შეიქნა დანარჩენ ჩვენ ჯარებისაგან, რომელნიც ახალქალაქის რაიონში იყვნენ დაბანაკებული. „პოსტს“ ყოველ მხრიდან ალყა შემოარტყეს და მცირე ბრძოლის შემდეგ ტყვეთ ჩაიგდეს. სომხის ჯარი წინ წამოიწია, დაიკავა სოფელი ტროიცკოე და აპერაციის გაფართოვება იწყო. მაგრამ ამ დროს მოუსწრო სხვა სოფლების რაზმებმა და სომხები დიდი ზარალით უკუქცეულ იქნენ. ასეთ აგრესიულ ნაბიჯების შემდეგ სომხების მხრით ჩვენ მაინც არ გვიფიქრია შეტევაზე გადასვლა. ჯარისკაცები ჯავრობენ: „სომხები გვესხმიან თავს, გაგვიშვეთ, გადავდევნოთ ახლო-მახლო სოფლებიდან და უზრუნველყოთ ჩვენი საზღვრებიო“. მაგრამ მათ ამშვიდებენ აფიცრები. „ვის რათ უნდა, თუნდ ერთი ციდა სომხეთის მიწა-წყლისა, დაგვაყენონ ჩვენთვის, ჩვენ ხომ არ ვეწუხებთ, რათ წაიყვანეს ტყვეთ ჩვენი პოსტის ჯარისკაცები?“ აცხადებენ უკმაყოფილებას ჯარისკაცები.

გული სიხარულით გიგსება, როცა ხედავ ამ ახალგაზრდობას, რომელიც რესპუბლიკის დასაცავათ უყოყმანოთ იტანს ყოველგვარ გაჭირვებას, რომელიც 40 გრადუსიან ყინვაში სდგას თოფით ხელში და ერთხელაც არ იტყვის იმას, თუ რათ სდგას აქ, რათ იყინვება შორეულ ჯავახეთში. ყველას შუბლზე წაიკითხამ კმაყოფილებას, შეგნებას, რომ ის ემსახურება სამშობლოს და თავისუფლებას. მტერიც კი ნატვრით მოეკიდება ასეთ ახალგაზრდობას, ვის არ გაუხარებს გულს მათი მბიარული სიმღერა და ხოტბა რესპუბლიკისა. არ ვიცი ვის შევადარო ეს ჯარი, ნუ თუ ის ჩვენია, ნუ თუ ასე გამოფხიზლებული და შეგნებული ვიხილე რესპუბლიკის ლაშქარი? ასეთი მძიმე ულვლი და ასე პირნათლად მხოლოდ შეეძლო ეტარებია საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ჯარს, რომელიც მიდიოდა ყველგან რესპუბლიკის და თავისუფლების სახელით.

რაკი ერთხელ დაიწყეს სომხებმა შემოტევა, აღარ მოისვენეს. ჩვენი „ზემლიანკები“ ფხიზლად ადევნებენ თვალ ყურს მტრის მოძრაობას და ცდილობენ კიდევ არ ჩავარდენ მსგავსად 16 დეკემბრისა. სამაგიეროო ჩვენმა ჯარმა ღირსეულათ გადაუხადა სომხებს. 20 დეკემბერს, დილის 6 საათიდან სომხის ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა, არტილერიის ცეცხლის დახმარებით შეეცადა „ზემლიანკების“ აღებას და საზღვრების გადმოლახვას. დაანთეს ნამდვილი ჯოჯოხეთური ცეცხლი ტყვიისმფრქვეველებიდან და ზარბაზნებიდან. ჩვენი სანგრები ხმას არ იღებდა. მტერი „ზემლიანკებს“ სრულიად დაუახლოვდა და სრული დარწმუნებული, რომ იქ ძალიან მცირე რაზმი იყო, იერიშით წამოვიდა. ამ დროს, როგორც ცეცხლის მფრქვეველი ქურიდან, დაინთო ჯოჯოხეთური ცეცხლი ჩვენი სანგრებიდან. აკაკანდენ ტყვიისმფრქვეველები და დილის ნისლში, როგორც ცეცხლის ენები, არტახებათ ერტყმოდა მტრის ჯარს ცეცხლის წვიმა. თოვლი წითლათ შეიღება. პირველი რაზმი უსულოთ დაეცა. მარა სომხების „ქალონები“ თავისას არ იშლიან და მიუხედავათ იმისა, რომ ღრმა თოვლია, მოიწევენ წინ, მარა ტყვიისმფრქვეველები ცელავს ყველას, რომელნიც ზეზე წამოდგებიან. მაშველი ჯარიც მოვიდა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, მტერი სრულიად დამარცხებული უკუქცეულ იქნა: ყრია უთვალავი მკვდრები, ისმის გულის წამლები კვნესა დაჭრილებისა. დედას მოუხმობს ბრძოლის ველზე გულგანგმირული შვილი, „შავი ყორანი გაფთხრის საფლავს“. ერთი საათის წინ არც ფიქრობდი იმ საშინელებაზე, რომლის მოწმე ეხლა ხარ, არ გინდოდა ხელები გაგისვარა სხვის სისხლში, მარა ეხლა, ეხლა როცა დაწყნარდა ბრძოლის ველი, ფიქრთა მთელი გროვა გახვევია გარს. რაო, რათ მოიკლა ამ ხალხმა თავი? რაო, რაო დაეჭკნეს ამდენი ახალგაზრდა სიცოცხლე, რათ შეღებეს ველი ჭაბუკთა სისხლით?!

— ჩვენი მთავრობა ბურჟუაზიის ხელშია, თავისი მიზნებისთვის ვაჭრობენ ჩვენი სისხლით— ამბობს ერთი ტყვე ჯარის კაცი, როცა ეკითხებიან თუ რათ გვესხმიან თავს.

უყრიან თავს წართმიულ პულემიოტებს, თოფებს და ტყვიებს. დაჭრილებიც მოჰყავთ, ხოლო ბრძოლის ველზე სისხლში გასვრილ თოვლზე ყრია გულგანგმირული მებრძოლები, რომელთაც უბრძანეს სიკვდილი და ისინიც უსტყვოთ მოკვდნენ.

„რაზმის უფროსისათვის გადაუცია მოკლულ-დაჭრილებისთვის ნახული ბარათები. სისხლშია გასვრილი ბევრი მათგანი. ეს ჩემი ხვედრია, ასეთ რამეს ამბებისთვის მე მაძლევენ და მეც გულდასმით ვკითხულობ. არ ვიცი რა დავარქვა ამ ბარათებს, არ ვიცი, როგორ გამოვხატო მოკლეთ ის რასაც იგრძნობს კაცი, როცა ერთი მხრით ხედავს მკვდრებით მოკირწყლულ მდელოს, ხოლო მეორე მხრით ამ „ცხოვრების ბარათებს“, სადაც ბევრია იმედები, ახალგაზრდული გატაცება და მომავალზე ფიქრი. დააკვირდები ამ უბედურ მსხვერპლებს და დაინახავ ტუჩებზე დამკვდარ იმედებს, ამ ბარათებში ასე გატაცებათ და სიხარულით რომ არის გადმოცემული.

აი ახალგაზრდა აფიცრის უბის წიგნი, რომელიც სომხების ჯარს წინ მიუძღოდა და ის პირველი დაეცა ბრძოლის ველზე. წიგნში ბარათებია. ერთი მათგანი ასე იწყება: „ჩემო ძვირფასო, მშვენიერო ლეონ! იცი შენ, როგორ სწყუხს და იტანჯება შენი სატრფო? ვერ ვბოულობ ადგილს, სადაც უნდა წავიდე, შენი სახე მიდგია წინ. ღღეს მე ერთი ვარ შინ და ისეთი მწუხარება, ისეთი მოწყენილობა ირგვლივ, ყველაფერი შენ თავს მაგონებს“... და შემდეგ ამ ბარათს აწერია „ლენა“. ვინ იცის ღღეს, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ბრძოლის ველიდან რამოდენიმე ვერსით დაშორებული და ლენას წერილებს ვარჩევ, ლენა ისევ უზის მაგიდას და უძილო ღამეებს ათენებს სატრფოსადმი წერილების წერაში. სატრფოს კი მინდორში სძინავს და მის ყარშემო დაძრწის ზამთრის ქარი, თოვლი ფარავს გაყინულ გულს, რომელშიც გუშინ ლენასადმი სიყვარული, სიცოცხლისადმი სიყვარული ღვივოდა.

ვინ იცის, იქნებ ასე თოვლში გდია 16 დეკემბერს დაკარგული ჩვენი აფიცრები და ჯარისკაცები და მათ წერილებს კი, ჩემებრ დაფიქრებული კითხულობენ სხვები. „ჰე სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გეპირსა, სადაურსა სად წაიყვან“...

გახარებული მოდიან ჯარისკაცები. გამარჯვების ყიჟინა გაისმის ირგვლივ. მიეგებიან ტანჯულ ბელიმთან, მინდა დაჭრილები ვნახო. აგერ ყაზმეგელი მოხვევ, ტყვიისმფრქვეველთა რაზმიდან. ყბა აქვს შეხვეული და გულზე უკიდია ხელი. შრაპნელის ნატეხებით არის დაჭრილი. ისე ხალისით, ისე გატაცებით გიყვება ბრძოლის ამბავს. ხელებს ათამაშებს, თითქო ეხლაც ტყვიისმფრქვეველთან იჯდეს და მუშაობდეს. იხვეწება ლაზარეთში არ გაგზავნონ.

„დამტოვეთ, ბატონო, რაზმში, არა მიშავს რა. ცხონ არ დამცინოს“ იხვეწება ყოჩაღი მოხევე და იჩქარის, ისევ სანგრებში უნდა ყოფნა, ამხანაგებს არ შორდება.

რაზმის უფროსს პოლკოვნიკ ჯ—ძეს ულოცავენ გამარჯვებას. გარს ეხვევიან დუხობორები და მოყავთ მარხილები დაჭრილების და ტყვეების გადასაყვანათ. ცხოვრება სდუღს, ყველა თავის ადგილზე სდგას, ასრულებს მოვალეობას სამშობლოსადმი. იხედებით გგვსება გული. იქედება ჩვენი თავისუფლება.

სოფ. გორელოვკა. ლ. რ—ძე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

„ტრ. ლისტოკ“-ში მოთავსებულია ნიკ. დუბროვსკის წერილი, სადაც სხვათა შორის აკითხულობთ: „იმ გზების საკითხი, რომელიც შეაერთებდა ქვეყნიერებას აზიასთან, წარსული წლის მე 80 წლებიდან ის ღერძი იყო, რომლის გარშემო ტრიალებდა საერთაშორისო ცხოვრება მსოფლიოსი.

„კავკასიის ერებს და განსაკუთრებით საქართველოს რესპუბლიკას ჰქარნიებს ამ საკითხს ყურადღებით მოეკიდოს, ამიერ-კავკასია და განსაკურთებით მისი ნაწილი, რომელიც უკავია საქართველოს რესპუბლიკას, ერთი იმ კვანძთაგანია, სადაც ხსენებული საკითხი შეიძლება გადაჭრილ იქნას.

„იმ დროს, როცა გერმანია დამარცხებულია და ოსმალეთიც რამდენიმე ათეული წლობით ინგლისის მიერ დასუსტებულია, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო კომბინაციებში ის გახდეს ერთ ერთი ფაქტორი.

„რუსეთი დიდის ხნით მოჰყვება ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის ეკონომიურ ტენდენციების სფეროში. რუსეთის კაპიტალი დიდი ხნით იქნება ამერიკულ-ინგლისურ-ფრანგთა კაპიტალის მოკავშირე. რუსეთზე უნდა გაიაროს აზიისკენ, სპარსეთის ყურეკენ, ინდოეთისკენ შიმავალმა გზამ, რაიც ისტორიული პროცესებთან განსაზღვრული. რომ ამ გზებმა რუსეთზე გაიაროს, ამით დიდათ დაინტერესებულია რუსეთი, მაგრამ ამაშიც უნდა იყოს დაინტერესებული საქართველოც. მართლაც. უკეთუ ზემოაღნიშნული განხორციელდა, საქართველო საერთაშორისო მოძრაობის ცენტრში მოქცევა.

„კავკასიის ქედზე საუღელტეხილო გზა შეაერთებდა აღმოსავლეთ ევროპას და აზიას სამხრეთ და წინა აზიასთან და გადააქცევდა საქართველოს მსოფლიო ცხოვრების სერიოზულ ადგილათ.

„საქართველოს და ამიერ კავკასიის არა თუ სამეურნეო ცხოვრება, არამედ—სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებაც ჩქარის ნაბიჯით გასწევდა წინ.

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ დადგა ის დრო, როცა საქართველომ სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი საუღელტეხილო გზის გაყვანის საქმეს. აუცილებლათ საჭიროა, რომ შექმნილი მდგომარეობა თავის დროზე იქნას გამოყენებული. აქ ინასკვება კავშირი რუსეთისა, ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთისა. ეს არის ისტორიული აუცილებლობა, მაგრამ ვიდრე ამ საკითხს თვით ცხოვრება დაყენებდეს, აუცილებლად საჭიროა ყოველივე ზომების მიღება, რომ აზიასთან შესაერთებელმა გზამ საქართველოზე გაიაროს. ამაში მდგომარეობს ყველაზე უფრო მკვიდრი ნიადაგი ქართველი ხალხის განვითარებისა“.

ზემონათქვამს ჩვენის მხრით შეგვიძლია დავუმატოთ ის, რაც არა ერთხელ გვითქვამს: საქართველოს მართლაც ისეთი მდგომარეობა უჭირავს, რომ ის არ შეიძლება არ მოექცეს, როგორც ზევით, ისე ხმელეთით, საერთაშორისო მოძრაობის ცენტრში.

ამიტომაა, სხვათა შორის, რომ საქართველოს აგრე ბლომათ ახვევია მტრები გარს. ყველას გათვალისწინებული აქვს საქართველოს ეს მომავალი, ყველა ცდილობს საქართველოს „შეერთებას“, განადგურებას. მტრებმა კარგათ იციან, რომ ასეთ პირობებში უმჯობესია საქმე გქონდეს არადამოუკიდებელ ერთეულთან, არამედ—დამოკიდებულთან, ფეხქვეშ გათელილთან.

ამიტომ ესხმის თავს საქართველოს ყოველი მტაცებელი—სომეხი იქნება ის, რუსი თუ სხვა ჯურის ვინმე.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ ᲜᲐᲐᲛᲒᲝᲕᲘ

ფოთი, 22 დეკემბერი.

უკრაინიდან ამ დღეებში ჩამოვიდა რამდენიმე რუსის ოჯახი, რომელთაც წინათ დასტოვეს საქართველო. მათი გადმოცემით მგვრია ამ ტამათ უკრაინიდან და რუსეთიდან საქართველოში წამოსვლის მსურველი, მაგრამ ეშინიანთ,—ვაი თუ საქართველოს მთავრობამ არ მიგვიღოსო. „იქაურ თეთრ პურს, აქაური შიმშილი სჯობიაო“, სთქვა ერთმა რუსმა.

ადესაში ამ ტამათ გერმანიიდან და ავსტრიიდან დაბრუნებული 2,000-მდე ქართველი ტყვე ჯარისკაცი, რომელნიც უმწეო მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი სიმშილითა და სიცივით. ბევრი ავდება და ბევრიც ყაჩაღობას და ძარცვა-გლეჯას მიმართავს. სამშობლოსაკენ გამგზავრების იმედი ბევრს მათგან დაუკარგავს კიდეც.

იყო ერთი შემთხვევა, როცა ქართველი ტყვეები ჩასხდნენ გემში და ის იყო გემიც უნდა გამოსულიყო, რომ მოხალისეთა ჯარი ტყვეისმფრქვეველებითა და ზარბაზნებით დაგმუქრა მათ: თუ არ ჩამოხვალთ, სულ ერთიანათ ამოგწყვეტთო...

ადესა პეტლიურას ჯარმა დაიკავა. მოკავშირეთა ჯარები, რომელნიც ახლოს იყვნენ ადესასთან ნეიტრალობას იცავდნენ და იცავენ ეხლაც.

საჭიროა სწრაფი ზომების მიღება ჩვენი ტყვეების დასახსნელათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ განადგურება მოელის.

უკრაინიდან ჩამოსულნი, განურჩევლათ ეროვნებისა, რომელიც უკვე გაეცნენ საქართველო-სომხეთის დამოკიდებულების საკითხს, გაკვირვებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ომი მხოლოდ 10 დეკემბერს დაწყებულა, მაშინ, როცა უკრაინის გაზეთებში ცნობები იყო „კავკასიიდან ჩამოსულების“ გადმოცემით, რომ სომხეთ-საქართველოს შორის ომი ოქტომბრის დამლევიდან უკვე სწარმოებსო.

ᲫᲔᲒᲕᲘᲡ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

25 დეკემბერი.

მე 5 დღე.

ბრალდებულ შმაგაილოვის დამცველი ზელენსკი დღესაც შეეცადა საქმის გარჩევის გადადებას ბრალდებულის ავადმყოფობის გამო.—ეტყობა დამცველს მოამზადება ვერ მოუსწრია, ან და მოელის სულ სხვა პირობებს და მდგომარეობას.

ზელენსკის შუამდგომლობა გადადების შესახებ სასამართლომ უარჰყო, რადგანაც ექიმებმა შეამოწმეს ავადმყოფი და სთქვეს, რომ ბრალდებულს შეუძლია საქმის გარჩევას დაესწროსო.

ამ სხდომაზე საინტერესო იყო აგრეთვე ინგლისის წარმომადგენელ პოლკოვნიკ ჟურდანის მოწმობა, რომელიც დაწერილი იყო სასტუმრო „ორიანტის“ ბლანკზე და ბეჭდიც არ ჰქონდა ზედ. ქალალდი ზვლენსკიმ შემოიტანა ინგლისურ ენაზე დაწერილათ. თარგმანი ს წინადადებით ქალალდი გადათარგმნილ იქნა რუსულ ენაზე. მოწმობა ასეთია:

მ ო წ მ ო ბ ა.

„ამით ვამოწმებ, რომ რუსის ჯარის აფიცერი, რომელსაც ბრალდება მცხეთის და ქსანის შორის ხიდის აფეთქებაში, იყო მოკავშირეთა აგენტი და ხიდის აფეთქების საქმეში ის მოქმედობდა მოკავშირეთა ინსტრუქციებით და ჩვენებით. წარმომადგენელი ჟურდანი“.

პოლკოვნიკი.

თფილისი 22 დეკემბერი 18 წ.

ბრალმდებლის შუამდგომლობით სასამართლო აქვეყნებს კუჩარიანცის შემოწმების ოქმს და აგრეთვე სხვა ზოგიერთ საბუთებს. სხდომა შეწყდა დღის 3 საათზე.

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მ ო წ ვ ი დ ე ბ ა.

მოქალაქენო, მუხანათი მტერი სამშობლოს ქურდულათ შემოესია და ცდილობს მისი საუკეთესო ნაწილის განადგურებას. სამშობლოს თქვენი თავი დღეს ესაჭიროება. მოგიწოდებთ ყველას—აფიცრებსა და ჯარისკაცებს, ვისაც ჯერ კიდევ არ გეჭებათ მობილიზაციით გაწვევა, ჩაეწეროთ მოხალისეთა პირველ რაზმში და მით მოიხადოთ თქვენი წმინდა ვალი მამულისა და სამშობლოს წინაშე. რაწერა შეიძლება ყოველ დღე-დილის 9—3 საათამდე.

მისამართი: თფილისი, ფერეთლისის ქ. № 11, პირველი რაზმის [illegible] ბების გაგებაც შეიძლება.

მოხალისეთა პირველი რაზმის უფროსი

პოლკოვნიკი **ბეჟან ხერხეულიძე.**

——

მოქალაქენო! შეიგენეთ თქვენი წმინდა მოვალეობა სამშობლოსადმი. მუხანათი მტერი კარზეა მომდგარი. ვისაც გახარებთ სამშობლოს თავისუფლება, ამაყობთ მისი წარსულით და ეკრფვით მის ბრწყინვალე მომავალს, ჩაეწერეთ მეორე მოხალისეთა რაზმში.

ჩვენი დევიზია: „ან სიკვდილი, ან გამარჯვება“.

მისამართი: ქართული კლუბი, „ჯარი და ერი“-ს რედაქცია.

რაზმის უფ. პოდპოლკოვნიკი **ავ. აბესაძე.**

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲨᲢᲐᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

მ ო წ ვ ი დ ე ბ ა.

ბორჩალოს მაზრაში სამხედრო მოქმედებების დაწყებისთანავე სახალხო გვარდიის საჭიროებისათვის შემოსწირეს საქართველოს პარლამენტის წევრმა აბრამ ბუზიაშვილმა 5,000 ცალი პაპიროსი და ს. ბოდბისხევმა (სოლნალის მაზრა) 1,000 ფუთი ფქვილი. უცხადებს რა დიდ მადლობას შემომწირველთ, მთავარი შტაბი დარწმუნებულია, რომ ეს მისაბაძი მაგალითი ჰპოვებს გამოძახილს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქეებში, განურჩევლად ეროვნებისა, რომ ვისაც რითი შეუძლიან შეუმსუბუქოს სახალხო გვარდიელებს, მუშებს და გლეხებს, გაჭირვება, რომელნიც იბრძვიან ფრონტზე სახალხო საქმისთვის, მოაქვთ რა თავისი თავი სამშობლოს სამსხვერპლოზე თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის. აცხადებს რა ამას, მთავარი შტაბი სთხოვს ყველას, ვინც შეიტანს თავის წვლილს, გამოგზავნონ შემოწირულება: ფული, სურსათი ან ნივთები შემდეგი მისამართით: თფილისი, სასახლე, შუა შესავალი, 10 ს.—2 საათამდე.

შემომწირველთ მიეცემათ კვიტანციები და მათი გვარი გამოცხადდება გაზეთებში.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲔᲑᲘ

დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება ს. ს. დ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა ახალ ბინაზე (გოლოვინის პროსპ., № 24, სადაც ავსტრიის მიხიის ბინა იყო).

დუხობორების დელეგაცია. გუშინ ახალქალაქის მაზრიდან მთავრობის რწმუნებული ლ. რუხაძის თანხლებით ჩამოვიდა ჯავახეთში მცხოვრებ დუხობორების ათი სოფლის დელეგაცია, რომელიც წარუდგება მთავრობის თავმჯდომარეს და მოკავშირეთა მისიას.

ზორიანის დაპატიმრება. ხაშურის მილიციის უფროსმა დაპატიმრა გორში საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ აგიტაციისათვის, საქართველოს პარლამენტის წევრი ზორიანი (დაშნაკცაკანი).

ქალაქთა კავშირის მედიკო-სანიტარული განყოფილება სთხოვს ექიმებს, ფერშლებს და მოწყალების დებს, ვისაც სურს იმსახუროს ლაზარეთებში, წარუდგინონ თხოვნები.

ქ. შ. წ.-კ. გ. ხაზოგადოებაში. მთავარმა გამგეობამ უკანასკნელ მორიგ სხდომაზე დაადგინა: 1) გადაიდოს სამხედრო ფონდის გასაძლიერებლათ 5000 მანეთი; 2) მოიდანახეს (სამგზარეულოში) სკოლის მასწავლებლად დანიშნა ვერასტი როდონაია; 3) დაამტკიცა ზუგდიდის განყოფილების გამგეობის დადგენილება ზუგდიდან ქართული სკოლის სოფ. კორცხელში გადატანის შესახებ და ხსენებული სკოლის მასწავლებლად დანიშნა გრიგოლ თოლორაია; 4) დაამყოფილა ს. მარტყოფის ბიბლიოთეკის გამგის შუამდგომლობა და ხსენებულ ბიბლიოთეკას აღმოუჩინა სახალხო საკითხავი წიგნებით დახმარება; 5) მოხალისეთა რაზმში ჩაწერილ მოსამსახურე პირებს შეენახოს ადგილი და ეძლიოს ეხლანდელი ნორმის ჯამაგირის ნახევარი; 6) გაგზავნა ბათომში მასწავლებელი ალექსანდრე მგელაძე, რომელსაც დაავალა განაახლოს სწავლა და შეუდგეს მეცადინეობას.

თფილისის საადგილ-მამულო ბანკის მოსამსახურეთა ყრილობამ ერთხმათ დაადგინა: ახლავე გადასცეს მთავრობას ომის საჭიროებისათვის თავისი წვლილი 30% თვიური ჯამაგირისა და ამასთანავე აღუთქვამს შეძლებისამებრ ზნეობრივ და ფიზიკურ დახმარებას.

ქართველ სტუდენტთა წარმომადგენელნი. 24 დეკემბერს შესდგა ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ თფილისის პოლიტეხნიკუმის და სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა ინტერპარტიული ბიუროს ქართველ სტუდენტთა წარმომადგენელ-

ნი. ხალრთო კრებამ იქონია რა მსჯელობა მომნეტის შესახებ, დაადგინა: დაეხმაროს ხაქართველოს მთავრობას მთელი თავისი ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური ძალღონით სამშობლოს თავდაცვის საქმეში. პრაქტიკულად ამ მიზნის განსახორციელებლათ არჩეულ იქნა კომისია ექვსი კაცისაგან შემდგარი, რომელიც შეუთანხმდა თფილისის პოლიტეხნიკუმის ქართველ სტუდენტთა წარმომადგენლებს. ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის და თფილისის პოლიტეხნიკუმის გაერთიანებული კომისია მოუწოდებს ქართველ სტუდენტებს განურჩევლად სქესისა, შემოკრბენ ამ ორგანიზაციის გარშემო. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება უნივერსიტეტის შენობაში (გოლოვინის პრ. № 10) ყოველდღე დილას 12—2-მდე და საღ. 5—7-მდე მორიგე კომისიის წევრისაგან.

◆ **მიწათ მოქმედების** სამინისტროს ყველა განყოფილების მოხელეებმა გადასწყვიტეს ერთდროული ნებაყოფლობითი დახმარების გაწევა ომის სასარგებლოთ. ამ მიზნით თფილისის მაზრის საადგილ-მამულო გამგეობამ უკვე გადაიხადა 5 პროც. დეკემბრის ჯამაგირებიდან.

◆ **შეწირულება.** იმ სახალხო გვარდიელთა შვილების სკოლებში აღსაზრდელად, რომლებიც ომში დაიღუპნენ, მე 4 გიმნაზიის დირექტორმა მ. ზაალიშვილმა შესწირა 1,000 მანეთი და საკუთარი წიგნის „ანატომია და ფიზიოლოგია“-ს შემოსავალი.

◆ **ლექცია.** დღეს, 27 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: კ. ქავთარაძის „ისტორია“, ალ. ჟორჟოლიანისა „ფსიქოლოგია“.

◆ **მანგლისის** რაიონიდან რედაქციამ წერილი მიიღო, გიორგი დემეტრაშვილის ხელმოწერით რომელშიაც ამ რაიონის მცხოვრები მადლობას უცხადებენ სასოფლო კომისიას ისეთ პრაპაგანდისტის (ვლ. კაკაბაძე) გაგზავნისათვის, რომლის დაულალავმა მუშაობამ ეს რაიონი აიტდინა ანარქიას.

ᲫᲐᲠᲔᲑᲘ.

პარასკევს, 27 დეკ. 10 ს. „ბომონდში“ დანიშნულია მუშა-ელექტრიკების პროფ. კავშირის წევრთა საერთო კრება.

— პარასკევს დანიშნულია პროფ. კავშირების საბჭოს და საბჭოს მომრიგებელ კამერაში კანდიდატების კრება.

— 27 დეკემბერს, საღამოს 4 საათზე დანიშნულია ამიერ კავკასიის ქართველ სტუდენტთა საერთო კრება.

ᲓᲔᲙᲔᲣᲚᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

26 დეკემბერი.

ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

სოც.-დემოკრატიულ უმრავლესობის პარტიამ გამოაქვეყნა დამფუძნებელ კრების კანდიდატთა წინასწარი საარჩევნო სია. სიაში შეტანილია 2 ქალი.

22 დეკემბერს ბერლინი დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომპანიის დამახასიათებელ სურათს წარმოადგენდა.

გერმანიის ბევრ ნაწილში ორივე მიმართულების სოც.-დემ. შეთანხმდნენ და მიუხედავათ იმისა, რომ ცალკე საარჩევნო სიები გამოუშვეს, გაერთიანებას სცდილობენ.

უკრაინაში მყოფ გერმანულ ჯარებთან საფოსტო კავშირი შესწყდა.

შვეიცარიის სოციალდემოკრატიულმა პარტიამ ბერტში გახსნილ საერთო კრებაზე 28 დეკემბერს პარტიის თავმჯდომარეთ აირჩია ჰუსტავ მიულლერი.

მასარიკი პრაგაში ჩამოვიდა. ის ჩეხო სლოვაკია რესპუბლიკის პრეზიდენტათ აირჩიეს.

სასოფლო მეურნეობის უწყების სტატს-სეკრეტარი ავგუსტ მიულლერი გაემგზავრა ლიუქსენბურგში, რომ მოაწესრიგოს დამოკიდებულება რკინის მარჯვენა და მარცხენა მხარეს შორის.

ქვა ნახშირის ოლქებში და ზემო შლეზვიგში გაფიცვები დასრულდა.

ჰოლანდიის სოც. დემ. ლიდერი ტროელსტრი ჩავიდა გერმანიაში, საიდანაც ლოზანაში გაემგზავრა.

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

გერმანიიდან უკანასკნელ დღეებში მიღებული რადიო დეპეშები მოწმობენ, რომ დამარცხებას ჯერ ვერაფერი უსწავლებია გერმანიის ხელმძღვანელ წრეებისთვის. რამდენიმე დღის შედარებითი სიწყნარის შემდეგ ნაუენიდან მოსული რადიო დეპეშები უფრო მეტის წინდაუხედაობით, ვიდრე როდისმე ვფიქრობ ომის ძველ იმპერიალისტურ თეზისებს.

ᲡᲐᲔᲠᲝᲒᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲨᲘ

ცაგერიდან ჩამოსულმა აბხ. ზ. გურულმა შემდეგი გადმოგვცა: საერობო არჩევნები მაზრაში გათავდა გარდა ზედა სვანეთისა, სადაც მისავალი გზა უკვე შეკრულია და სადაც არჩევნები მოხდება გაზაფხულზე. იქ აირჩევენ 5 ხმოსანს, რომლებიც შვა სამაზრო საბჭოში, რასაც მანამდე მოაწყობენ ცაგერის და ლაილაშის რაიონების 20 ხმოსანი.

ᲐᲮᲐ, ᲰᲔ!

ბიჭებო წავიდეთ
ბრძოლისა ველზედა,
ფარ ხმალი ავისხათ,
ავისხათ წელზედა...
კარგია სიკვდილი
სამშობლოს მკერდზედა...
აბა, ჰე, ერიშით
მუხანათ მტვრზედა!

———

მუშებო თქვენ მარჯვენს
მადლი და დიდება;
შრომა და წვალება
ჰა, ეხლა გვინდება...
მშობლიურ ხბარეში
უდროოთ ბინდდება,
ბორკილს გვიმზადებენ,
მონობა გვიდგება!..

———

აბა, ჰე, ბიჭებო
წინ, ბრძოლის ველზედა!
ტკბილია სიკვდილი
სამშობლოს მკერდზედა!

დ. მეჩონგურე.

23 დეკემბერი 1918 წ.
ქ. თფილისი.

არჩევნებში გამოვიდა მხოლოდ ორი პარტია,—ჩვენი და ფედერალისტებისა, ნაც.-დემოკრატებმა 13 დეკემბრამდე იმუშავეს, მაგრამ შეატყვეს საშარცხვინო იქნებოდა შედეგი და უარი განაცხადეს მონაწილეობაზე, ხოლო ესერებს იქ არავინ არ ჰყავთ და არც ოდესმე ჰყოლიათ.

არჩევნების შედეგი უგზოობის გამო კიდევ არ იყო გამორკვეული საბოლოოთ მაშინ როცა ცაგერი დავტოვე, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ფედერალისტები ძლიერ ცოტას გაიყვანენ, არა უმეტეს ოთხისა ოცში, შეიძლება ვერც ორზე მეტი. თვით ცაგერში 261 ხმაში 23 ხმა მიიღეს; დეხვირის საზოგადოებაში 382 ხმაში 38 მიიღეს; ქვემო სვანეთიდან მარტო ერთი სოფლიდან ჩამოიტანეს და 48 ხმაში ორი მიიღეს და ასე.

საარჩევნო აგიტაციამ განსაკუთრებულათ არა სასურველი სახე მიიღო. ამის მიზეზი ლეჩხუმელი ფედერალისტები არიან. მათ აიყოლიეს ქუთაისიდან მოსულებიც და გადავიდენ წრეს: არავითარი საშუალება არ იყო მათგან მიღებული ჩვენს წინააღმდეგ. ისინი პირდაპირ ეუბნებოდენ ხალხს: № 1 იყო ზარბაზნებს რომ გიშენდათ, ნუ თუ კიდევ მისცემთ ხმასო. ასე სწერდენ ფურცლებშიაც. მათი სეთი საქციელი იწვევდა მკაცრს პასუხებს ჩვენებისაგანაც და ყველა ეს ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდა გლეხობის ჩამორჩენილ ნაწილზე: იმის მაგივრად, რომ პარტიებს აეხსნათ საქმის მდგომარეობა, ერთმანეთს ლანძღავენო, ჩიოდენ მოხუცებულნი.

ფედერალისტებმა მოიშველიეს ბალშევიკი ნასალდათარი (არეულობის მონაწილე) ახალგაზდობაც, რომელთა წყალობით სამმა სოფელმა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო რაკი შეიტყვეს ხალხი № 1 აძლევს ისევ ხმასო, ჩაშალეს არჩევნები).

და თურმე ყველა ეს ხდებოდა მაშინ, როცა სომხის რეაქციონერმა მთავრობამ უკვე ომი გამოუცხადა ჩვენს თავისუფლებას, ის უკვე ხვრეტდა თურმე ჩვენ ამხანაგებს. ეს ამბები მე გზაში გავიგე ცაგერიდან მეოცდაათე ვერსზე. იქ კი არავინ არაფერი იცოდა, ვინაიდან ფოსტა ვერ მუშაობს და გაზეთები არ მოდის. (ს. დ.)

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ომის საჭიროებისათვის და ჯარის საღებსასწაულო საჩუქრებისათვის მიღებული შემოწირულება ამიერ-კავკასიის ბანკში.

ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე 1200 მ., დათეშიძე რაჟდენ ყარამანის ძე 1100 მ., ქუთათელაძე დავით ვასილის ძე 600 მ., თურქია ივანე მათეს ძე 668 მ., სტურუა ისიდორე ივანის ძე 676 მ., შათირიშვილი იოსებ ვასილის ძე 480 მ., მუშლაძე გიორგი ილტატის ძე 104 მ., მხეიძე აკაკი სერგის ძე 396 მ., მხეიძე კონდრატი სერგის ძე 396 მ., ჯორჯაძე გიორგი 356 მ., ბრეგაძე ვლადიმერ იოსების ძე 332 მ., ლორთქიფანიძე შალვა ყარამანის ძე 316 მ., პლესანინი ნიკოლოზ სტეფანეს ძე 376 მ., ტრესკინი კონსტანტინე კაპიტონის ძე 316 მ., შაბანოვას ასული მარიამი 252 მ., ქუთათელაძის ასული ნადია 244 მ., ჭელიძის ასული მარიამი 228 მ., აფაქიძის ასული თამარა 208 მ., გაგუას ასული ვალენტინა 208 მ., თვაური ბარის 40 მ., ბაკურაძე პანტელეიმონ 80 მ., გოჩოამაზაშვილი ეფრემ 40 მ., პეტრიშჩევი გაბრიელი 40 მ., გუჩმაზაშვილი ანდრია 60 მ., ჯაყელი ნიკოლოზ იოსების ძე 500 მ., ქავთარაძე ვ. 50 მ., აგლაძე ნ. 50 მ., ბერალაშვილი, ქაქოძე და ფიდაროვი 1000 მ., გვაბიჩავა ნეტორ 500 მ., დათეშიძე კონსტანტინე ყარამანის ძე 250 მ., ციციშვილი ირაკლი 50 მ., ბარათაშვილი აკაკი 100 მ., წერეთელი პეტრე 200 მ., მესხი კონსტანტინე ერთი ოქროს ბეჭედი; ბენდუკიძე სპირიდონ 1000 მ., ბოლქვაძე ვას. 50 მ., ბოკერია ევგენი გრიგოლის ძე 300 მ., ავალიანი გიორგი ლუკას ძე 1000 მან., ქვლივიძე გაბრიელ 1000 მ., ბოთერაშვილი რაფაელ 100 მ., მდივანი ნიკოლოზ გურგენის ძე 100 მ.. ჯამი—15,416 მან.

———

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ მიიღო შემოწირულება საქართველოს მხედრობისათვის შემდეგ პირებისაგან: მ. მორჩილაძისაგან შეგროვილი ყოფილ სახაზინო პალატისა და ხაზინის მოსამსახურეთა შორის განსვენებულის ი. ტერ სტეპანიანცის ხსოვნის აღსანიშნავად 210 მ., რ. ბ. გაგანიძისაგან 75 პაჩ. პაპიროზი და 12 კარ. წუმწუმა, ნ. დოლონიძისაგან 50 მ., ს. კასპარიანცისაგან 20 მ., მარიამ ვ. მაჩაბელისაგან 250 მ., ა. მ. დოლაბერიძისაგან 1000 მან., ს. ი. იასეშვილისაგან 500 მ., ს. ს. კოტორაშვილისაგან 1000 მ., რ. ი. გოგინაშვილისაგან 25 მ., ა. ზ. ბოკორაძისაგან 25 მან.

მთავარი გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

მეცენატეობის და მეღვინეობის სპეციალისტის კ. ბერეკაშვილის რედაქტორობით ქუთაისში გამოვიდა ჟურნალი „მეცენატეობა და მეღვინეობა“-ს პირველი ნომერი.

ჩვენის მხრით ვურჩევ ყველა ქართველ წვრა-კითხვის მცოდნე, შეგნებულ მეურნეს წაიკითხოს ეს ახალი სპეციალური ორგანო, რომელიც გამომცემელს სანიშნოთ მოხდენილად გამოუცია და კარგ შთაბეჭდილებას ახდენს: 1) თავის შინაარსით, სხვადასხვა საკითხების მოკლე, გასაგები ენით გადმოცემით, 2) გარეგნულად ძლიერ ლამაზათ, კოხტათ და შნოიანათაა დაბეჭდილი, პატარა, ჯიბეში ჩასადებ ფორმატზე, 3) დღევანდელ ზღაპრულ სიძვირის დროს გაწეულია ქაღალდის ეკონომია, მომჭირნეობა: ცარიელი ალაგი სულაც არაა დატოვებული და კარგი შრიფტის წყალობით ნაბეჭდიც ადვილი საკითხავია, რაიც იშვიათი მოვლენაა დღევანდელ გამომცემლობაში, 4) რაიც არა ნაკლებ მოსაწონია სპეციალურ გამოცემისათვის მაინც,—ერთი კარგი კარექტურა, რომლის წყალობით შიგ ვერ ნახავთ ვერც ერთ შეცდომას, 5) ფასიც, შედარებით სხვა ულაზათოდ გამოცემულ ჟურნალებისა ძვირი არაა—ერთი მანეთია. ეს მით უფრო არ უნდა ეძვიროს მყიდველს, რომ იგი სწორეთ ამ ფასათ დაუჯდა გამომცემელს და შემდეგში კი, როცა თანამშრომლებს შემოიკრებს და შესაფერისი მასალა შეუგროვდება გამოცემას გაადიდებს თუ ხარჯმა არ იმატა, 6) რედაქტორი ურიგოთ არ მოქცეულა, რომ თავის სპეციალურ ჟურნალში მკითხველ მეურნეებისათვის მიუწოდებია საზოგადო ხასიათის წერილი „ერთობიდან“, რომელშიაც მოკლეთ იყო დახასიათებული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ექვსი თვის დაულალავი ბრძოლა რევოლიუციის მონაპოვართა ჩვენში განსამტკიცებლათ. 7) ღირსებათვე უნდა ჩაურიცხოთ რედაქტორს ის, რომ თავის ორგანოს გამოცემაზე იგი შეკითხებია სოფლელ მეურნეებს, ამ დარგის მწარმოებლებს და მათთან ჰქონია ხანგრძლივი მოლაპარაკება, რასაც მოწმობს მისი მოკლე ბოლო წერილი მკითხველებისადმი და აი იმათ იდეური თანაგრძნობა—წაქეზებას და ნივთიერ დახმარებას იგი ამ გამოცემისაკენ, რითაც იგი ამ პირველი ნაბიჯის გადადგმის დროს სულდგმულობს...

დაბოლოს, თუ ყოველივე ზემო თქმულს სახეში მივიღებთ და ჩაუკვირდებით, საკვერო გამომცემელს თუ სულ უანგაროთ არა, მცირე. პროც. ღებით დახმარონ ჩვენი პერიოდული გამოცემების პროვინციალური პიონერები, აგენტები, რომელთათვისაც აქედან აღებული ჯონორარი საგრძნობ თანხას მაინც არ შეუდგენ, რადგან სპეციალური ორგანო კი არა, დღიური პოლიტიკურ-ლიტერატურული გამოცემებიც ნაკლებათ ვრცელდება ჩვენში სოფლად ზოგი წერაკითხვის უცოდინარობის გამო და უფრო კი ბეჭდვითი სიტყვის გავრცელების საქმის პროვინციებში მოუწესრიგებლობის, მუდმივი ორგანიზაციის უქონლობით...

ჟურნალი იყიდება თფილისის გაზეთების საკონტრაგენტო „განათლება“-ს პროვინციალურ აგენტებთან. **ის. კვიცარიძე.**

ᲣᲥᲛᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

(სია დღესასწაულების 1919 წლისა, როდესაც მუშაობა არ შეიძლება).

იანვარი: 1. ახალი წელიწადი; 7 და 8—შობა ქრისტესი; 19—ნათლის ღება უფლისა. თებერვალი: 15 მირქმა უფლისა; მარტი: არ არის; აპრილი: 7 ხარება ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა, 18 და 19—პარასკევი და შაბათი ვნების კვირისა, 21 22 ორშაბათი და სამშაბათი აღდგომის კვირისა; მაისი: 1—მუშათა ინტერნაციონალი, 26—საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, 26—ამაღლება უფლისა; ივნისი 8—მეორე დღე სული წმიდის მოფენისა; ივლისი: არ არის; აგვისტო: 19—ფერისცვალება უფლისა, 29—მძინება ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა. სექტემბერი: 21—შობა ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა, 7—ჯვართ ამაღ. უფლისა; ოქტომბერი: არ არის; ნოემბერი: არ არის; დეკემბერი: 4—ტაძრად მიყვანა ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა, და ყველა კვირა დღეები.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ერთობის“ კანტორაში—დილის 9 საათ. 2 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.

ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ ᲯᲐᲠᲡ!

ისტორია გვიმტკიცებს, რომ თითქმის ყველა ომიანობის დროს ჯარში ხვადასხვა გადამდები სენი ვრცელდება და დიდი ზარალი მოაქვს.

1878 წელს ოსმალეთ-რუსეთის ომის დროს, რუსეთს ტყვიამ წაართვა 34 ათასი მეომარი, გადამდებმა სენმა კი 43 ათასი კაცი იმსხვერპლა. რუსეთ-იაპონიის ომის დროს 1.403.659 კაციდან დაიჭრა 151,944, მოკვდა 24,844, გადამდები სენით ავად გახდა 121,816 კაცი, რომელთაგან 7,180 გარდაიცვალა. ომი ცხოვრების ისეთ პირობებს ქმნის, რომ ადამიანი ძალიან სუსტდება, რადგანაც მუდამ თხრილებში და მიწურებში უხდება ცხოვრება, არ აქვს საკმარისი საჭირო საჭმელ-სასმელი და მუდამ შუშუშია. გარდა ამისა მუდამ სიკვდილის მოლოდინში მყოფი ადამიანის ნერვები ძალიან იშლებიან, სუსტდებიან. ყველა ეს ადამიანის სხეულს უკარგავს წინააღმდეგობის უნარს გადამდებ სენთან საბრძოლველად და ქმნის ადამიანის სხეულში ნოყიერ ნიადაგს სენის დასანერგათ. ამიტომაა რომ ხანდისხან ჯარში ისეთი სისწრაფით და ზომით ვრცელდება გადამდები სენი და ასუსტებს მას, რომ იგი, როგორც რეალური ძალა აღარ ვარგა. ასე დაემართა ბულგარეთის ჯარს უკანასკნელ ბალკანეთის ომის დროს, როცა მას ხოლერამ სულ მოკლე ხანში 30 ათასი კაცი გაუნადგურა და ამ ზომით დასუსტებული ჯარი გაჩერდა ჩატალჯასთან და ძალუნებურად შეურიგდა მტერს. ამიტომ აუცილებლად საჭიროა, როგორც მთავრობამ, ისე საზოგადოებამ ეხლავე ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და საჭირო წინასწარი ზომები მიიღონ ჯარში გადამდები სენის გაჩენის წინააღმდეგ და თუ გაჩნდა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

ომიანობის დროს ორი ჯურის გადამდები სენი ჩნდება: პირველი ჯურის სენი—კუჭნაწლევების ავადმყოფობანი არიან. მაგ.: მუცლის ტიფი, ხოლერა და ყვანა. მეორე ჯურის სენი კი არის ისეთი, რომელიც სხვადასხვა მწერთა საშუალებით ვრცელდება. მაგ.: მალარია, პარტახტანი და შებრუნებითი ტიფები, ყვავილი, შავი ჭირი და სხვა.

ლაშქრობის დროს მეომარს ძალიან იშვიათად აქვს ცხელი, კარგი სასმელ-საჭმელი. მომეტებულად იგი იკვებება ძვილი კონსერვებით, სვამს ხშირად უვარგის წყალს. ყველა ეს პირობები კი იწვევენ კუჭნაწლევის სხვადასხვა ავადმყოფობას. ამიტომაა რომ ჯარში მალე ჩნდება მუცლის ტიფი. სისხლით ყვანა-ხოლერა. გაჩენა და გავრცელება მაინ ერთია, რადგანაც ომიანობის დროის პირობები მათ ყოველმხრივ ხელს უწყობენ. ჯარი სივიწროვეში სცხოვრობს, არა აქვს მომართული ფიზისადგილები, არ არის მოწყობილი ასენიზაციის წესით გაწმენდა უუფთაო ადგილებისა. მაშასადამე, იმ სენის გავრცელება გადადებაში უმთავრესი ბნიშნელობა აქვს ჯარის სივიწროვეში ცხოვრებას და უვარგისი წყლის ხმარებას. გარდა ამისა, არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს შინაურ ბუზს, რომელსაც თავისი მუცლით, ფრთებით, ფეხებით ადამიანის ტუჩებზე, თითებზე და უფრო ხშირად იმ საჭმელზე, რომელსაც ადამიანი ხმარობს, გადააქვს სენის გამომწვევი მიზეზი და მით ავრცელებს ავადმყოფობას. ომიანობის დროს კუჭ ნაწლევის გადამდები სენი ჩვენთვის არ არის საშიში, რადგანაც ზამთარია.

მეორე ჯურის სენისგან ამ ხანად არც მალარიაა საშიში, რადგანაც მისი გამომწვევი კოდო „ანოფელესი“ ზამთრობით ვერ მოქმედობს, სამაგიეროდ ის სენი, რომლებსაც ავრცელებს ბაღლინჯო და კბენარი—ამ ომშიაც დიდს საფრთხეს წარმოადგენს და საჭიროა მის წინააღმდეგ სასტიკი წინასწარი ზომები. კბენარი და ბაღლინჯო ავრცელებენ ორ სენს: პარტახტიან და შებრუნებით ტიფებს. უ ვე ნიშნებია, რომ ეს სენები ამ ომშიაც ძალიან გავრცელდებიან თუ ეხლავე არ მივიღეთ ყოველივე ზომები. სოფლებში ამ ხანად მოდებულია პარტახტიანი ტიფი და სახლიდან ომში წასული მეომარი უეჭველია თან გაიყოლებს სენს და მის გადამდებ კბენარს. ომში ცხოვრების პირობები, რასაკვირველია, ნაყოფიერ ნიადაგად გაუჩნდებიან სენს. უპირველესი ხელის შემწყობი პირობა იქნება ის, რომ ჯარს, როგორც სხვა ომების დროს, უსუფთაობის გამო ბევრი კბენარი გაუჩნდება და ეს მოვლენა, რასაკვირველია, გამოიწვევს თავის სამწუხარო შედეგს—ტიფების ეპიდემიას. ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება ამ ორ სენს და მათ წინააღმდეგ საბრძოლველათ საჭირო ზომებს უნდა მივაქციოთ, რომ როგორმე დავიხსნათ განსაცდელისაგან ჩვენი ძვირფასი თავდადებული მეომრები. აი რა უნდა გაკეთდეს ეხლავე.

უნდა ვეცადოთ, ჯარს მივაწოდოთ ყოველივე საშუალება, რითაც შეიძლება სისტემატიურად ხდებოდეს: 1) დეზინფექცია თხრილებისა, მიწურებისა, შენობებისა, სადაც ჯარს მოუხდება ცხოვრება [illegible] ვე დეზინფექცია უნდა [illegible] ფუსის და სხვა უწმინდურებისა [illegible] რით, ან სხ. რაიმე სადეზინფექციო საშუალებით. 2) დეზინფექცია ანუ კბენართა გაწყვეტა-მოსპობა ტანისამოსს საცვალში, რაც შეიძლება განხორციელდეს ბევრნაირად, მაგალ., საპნიან ან სოდიან წყალში საცვლის გამოხარშვით. დეზინფექციურ სითხეებში დალბობით 1—2 საათით. დეზინსექტორში კბენარიან საცვალ-ტანისამოსის გაფენით ნახევარ, ან ერთი საათის განმავლობაში, თუ სიცხე 100—110 გრადუსამდე ადის დეზინსექტორი და 3) ბანაობა აბანოში მეომრების სუფთა საცვლების დარიგების შემდეგ ყოველივე ბინებისა.

რუსეთის წარსულ დიდ ომიანობის დროს მე სამი წლის განმავლობაში მე 45 კორპუსის სანიტარიის ექიმად გახლდით და მოკლედ ავწერ, თუ როგორ იყო განხორციელებული პირდაპირ საომარ ხაზთან—თხრილებთან ახლოს—ზემოდჩამოთვლილი აუცილებლად საჭირო სანიტარული ზომები.

ყველა სანიტარულ ზომას კორპუსის რაიონში განაგებდა, ზედამხედველობდა და ასრულებდა სანიტარიის ექიმი, რომელსაც დამხმარედ ჰყავდა გიდრო-ტეხნიკური და აბანოების გამკეთებელი რაზმები და 50 კაციანაგან შემდგარი სანიტარული რაზმი.

გიდრო ტეხნიკური რაზმი ასუფთავებდა და კირით დეზინფექციას უკეთებდა ჭებს და სხვა წყალსადენებს, სთხრიდა და აკეთებდა ახალ არტეზიანურ ჭებს. აბანოების გამკეთებელი რაზმი მიწურში ან ახლად აშენებულ ხის ან აგურის შენობაში, ან კიდევ თუ სადმე ფრონტთან ახლო დანგრევას გადარჩენილი შენობა მოიძებნებოდა—იმ შენობაში აკეთებდა აბანოებს, თითო პოლკზე თითო აბანოს იმ ანგარიშით, რომ მთელ პოლკს ორ კვირაში მაინც აუცილებლივ ებანავნა. აბანოსთან იყო მოთავსებული სარეცხის სამრეცხველო და დეზინსექტორი ცალკ-ცალკე ოთახებში ამ მიწურებში. აბანოში მოსული მეომარი ეუჭყიან საცვალს სტოვებდა სამრგცხველოში, სამაგიეროდ იღებდა სუფთა საცვალს და საპონს და შედიოდა აბანოში. იქ ყოფნის დროს მისი ფარაჯა, შარვალი და გინნასტიორკა იფენებოდა ნახევარ—ერთი საათით დეზინსექტორში, რომელშიაც სიცხე 100—110 გრადუსამდე იყო აყვანილი. ამნაირად მეომრის მკბენრიანი ტანისამოსი სრულიად სუფთავდებოდა და იგი გაბანილი სუფთა საცვალში ბრუნდებოდა თავის თხრილში ან მიწურში. აბანოშივე იყო დალაქი თმა წვერის გასაპარს-გასაკრეჭად.

ქალაქთა და ერობათა კავშირები ნაჩვენები ზომით დიდ საქმეს აკეთებდენ თავიანთ ჯარებისთვის და ვინ იცის რა ხასიათს მიიღებდენ გადამდები სენები მრავალ მილიონიან ნახევრად მშიერ ტიტველ ჯარში, რომ იმ გზით სანიტარულ საქმიანობას არ ეშველა მდგომარეობისთვის. ამას ზედ უნდა დაემატოს, რასაკვირველია, სისტემატიურად ჯარის აცრა სხვადასხვა გადამდებ სენთა წინააღმდეგ შრატებით.

მარტო სისუფთავით ვერ ჩავაყენებთ ჩვენს ჯარს სასურველ მდგომარეობაში. ლაშქრობის დროს მეომარს, შეტადრე ეხლა ამ ცივ ზამთარში, უნდა თბილათ ეცვას და ნახევრად მშიერი არ იყოს; ამიტომ ყოველი ღონისძიება უნდა იქნას მიღებული, რომ იმას რაც სოფლად ბევრია, მაგალითად ქართლში: ხილსა, ჩირს, კახეთში ღვინოს და სხვას და დანარჩენ კუთხეებში რაც კი მოგვეპოვება მაგ. თბილი წინდა, შალი და სხვა კონფესკაცია უყოს და ჯარს მიაწოდოს. ქალაქებშიაც გამოფენილი თბილი ტანისამოსი, საცვალი, ფეხსაცმელი ერთ წუთსაც არ უნდა გაჩერდეს, ესეც კონფისკაციის ძალით უნდა ჩამორთმეულ იქნას და ჯარს გაეგზავნოს. რომ ჯარს საკმარისი თბილი საცვალი და ფეხსაცმელი ჰქონდეს. ჩვენის აზრით დაუყოვნებლივ შეძლებულთა ქონებას უნდა დაედოს ბეგარა და ჩამოგრთვათ დამზადებული თბილი ტანისამოსი, ფეხსაცმელები, საცვალი, ლოგინი და სხვა. საჭიროა ამ მხრივ სწრაფი და შეუდრეკელი ზომები და განკარგულებანი, თორემ თუ დაგვიანდა და ჯარი დასნეულდა, მაშინ ვეღარაფერი საშუალებით ვერ გამოვაკეთებთ მდგომარეობას. ამ ნაბიჯის გადადგმაზე უნდა აიძულოს მთავრობა ჯერ ძვირასს ჯარის და რესპუბლიკის სიყვარულმა და მერე ჩვენმა ეკონომიურათ ხელმოკლეობამ.

ექიმი **ი. ლომოური.**

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

ᲡᲝᲪ. ᲔᲠᲗᲝᲑᲐ (ყარაიაზის მიდამო). 22 დეკემბერს შესდგა საზოგადო კრება ს. ერთობისა და ძმობისა ახლად გადმოსახლებულ მცხოვრებლებისა. კრებას დაე წრო 80 კაცამდე, მათ შორის რუსებიც არიან.

განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) დღევანდელი მომენტი, 2) არჩევა კომისრისა,

3) არჩევა ძველი კოოპერატივის საქმეთა მომწესრიგებელ და მწარმოებელ გამგეობისა, 4) არჩევა კოოპერატივის სარევიზიო კომისიისა, 5) ნებადაურთველად დახნულ და დათესილ მიწების საკითხის მოწესრიგება, 6) გაქცეულ რუსების უკან დაბრუნებულების შესახებ, რომლებიც ყარაიაზის სოფლებში ცხოვრობდნენ, 7) პურის მცხობელ გოცირიძის საქმის განხილვა.

დღევანდელ მოხენტზე მოხსენებას აკეთებს ზ. ბოჟაშვილი.

კომისარის არჩევა სხვა დროისთვის გადაიდო. კრებას დაესწრება თათრებიც.

მესამე საკითხი გადაიდო კოოპერატივის ძველი წევრების მოწვევამდე, ხოლო არჩეულ იქნა კომისია, რომელმაც უნდა ჩაიბაროს და უზრუნველყოფილ ბინაზე გადმოიტანოს კოოპერატივის ქონება, რომლის ღირებულებაც 200,000 მანეთს უდრის ძველი ფასებით, როცა პური ღირდა ფუთი 11 მანეთად და ლამპის შუშა № 15—47 კაპეიკათ. კომისიაში დაასახელეს 7 წევრი: კასრაძე, ალთუნინი, შავშიშვილი, ციცხლაძე, კობიძე, ეფიმოვი და კოსტიაშვილი.

მეოთხე საკითხი გადაიდო შემდეგი კრებისათვის.

მეხუთე საკითხის შესახებ გამოითქვა აზრი, რომ ეს საკითხი გარდაწყდეს შეთანხმებით მიწის პატრონსა და დამთესავთ შორის. უკეთუ ვერ შეთანხმდებიან, გადაეცეს შრომის სამინისტროს, ან ცალკე კომისიას, რომელიც აირჩევა ორივე მხრიდან.

ამხანაგმა ბიჭიაშვილმა აღნიშნა რუსეთის ძველი მთავრობის გადმოსახლებითი პოლიტიკა. რუსთა ახალშენების მაშინდელი პრივილეგიები მთავრობის მიერ მათი წაქეზება, აგრეთვე უმწეო და აუტანელი მდგომარეობა ქართველი გლეხებისა, რომლებსაც ნახევარი დესეტინა მიწა ძლივს მოეპოება, მათი იმ დროს უყურადღებოთ მიტოვება; გამოსთქვა სიამოვნება, რომ გაქცეული რუსები უბრუნდებიან თავიანთ სახლკარს. იმედოვნებს, რომ ყარაიასის ახალშენის რუსები და ქართველები ძმურად და მეგობრულად იცხოვრებენ და ადგილობრივ მუსულმან მცხოვრებლებს მეგობრულ და ძმურ ხელს გაუწოდებენ, რითაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პრინციპებს არ დაარღვევენ. მთავრობა კი ყველას სამართლიანად გაუნაწილებს მიწებს, როგორც ქართველებს, ისე რუსებს და თათრებს.

საზოგადო პურის მცხობელ გოცირიძეს აუყრია სახურავი ფესტი სახლისათვის და გაუყიდია 120 მანეთად. მომხსენებელი შავშიშვილი აყენებს საკითხს, გოცირიძეს გაყიდული ფესტის ფული ჯამაგირათ ჩაეთვალოს და გაძევებულ იქნას ერთობის სოფლიდან. რადგან გოცირიძეს საზოგადოება კარგათ არ იცნობს და არ იცის მისი ვითარება, როგორც ახალგაზრდა კაცის და ახლად გადმოსახლებულის, აპატიოს. ხოლო, როცა საზოგადოება დარწუნდება, რომ გოცირიძის გამოსწორება არ შეიძლება, მაშინ, როგორც მავნე პიროვნება, სხვა სოფელს და ქალაქს კი არ შემოახვიოს თავზე სხვადასხვა ბოროტების ჩასადენათ, არამედ გადასცეს მთავრობას შესაფერ დასჯისათვის. გოცირიძემ აღუთქვა საზოგადოებას, უკეთეს კიდევ შეამჩნევენ მას ქურდობას, დასაჯონ კანონის სიასტიკით.

X.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 19 დეკემბერს შესდგა საქართველოს ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონის და ამავე რაიონის ქვე-კოლექტივების წევრთა შეერთებული კრება. განსახილველი იყო კითხვები: მოხსენება თფ. კომიტ., მოხსენება ადგილებიდან, განცხადება. თფილისის კომ. წარმომადგენელის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციიდან გასულ 15 პარტიის წევრ. კომიტეტს წინადადება მიუცია, თუ ვინიცობაა ისინი არ დარჩებიან საბჭოს ამ ჟამად არსებულ ს.-დ. ფრაქციაში და ცალკე ჯგუფის შექმნას მოინდომებენ, დაუყონებლივ დააბრუნონ ის მანდატები, რომელიც მათ აქვთ მიღებული თფ. კომიტეტისაგან.

კრებამ მოისმინა ადგილებიდან მოხსენებები. გამოირკვა, რომ თითქმის ყველა ფაბრიკა-ქარხნებში, ტრამვაიში, არსენალში და უბნებშიაც კი გამართულა ხაჯართ კრებები ორ მოძმე რესპუბლიკის—საქართველოსა და სომხეთის შორის სადაო საზღვრების გამო დატრიალებულ სამწუხარო ამბების შესახებ, სადაც დაუგმიათ სომხეთის მთავრობის ავანტიურისტული ნაბიჯები, და უიცი დაუდვიათ, რომ საქართველოს დემოკრ. რესპ. მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს მთელი თავიანთი ძალონით მხარი დაუჭირონ და მედგრათ დაიცვან საქართველოს ნორჩ რესპუბლიკისა და რევოლიუციით მონაპოვარი თავისუფლება ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ შემოსევისაგან.

კრებამ მოისმინა განცხადება ამხ. ხარტიშვილისა, რომელიც ორგანიზაციულათ პარტიულ მუშაობის გასაძლიერებლათ მოითხოვდა მცირე კოლექტივებიდან თითო ორგანიზატორის დანიშვნას. კრებამ ქვე-კოლექტივებიდან დანიშნა თითო ამხანაგი, რომელიც ამხ. ხარტიშვილთან ერთად შეიკრებიან გაძლიერონ უბნებში პარტიული მუშაობა. ამხ. ხუსეინაშვილის შესახებ, რომელიც (ზოგიერთი პირების გადმოცემით) მატარებელში მოგზაურობის დროს თავდაცვერილი იქცევიდა და ამ ჟამათ მას ასეთი ხაქციელისათვის ბრალს სდებენ, კრებამ დაადგინა, აირჩეს სამი პირისაგან შემდგარი კომისია, რომელიც გამოარკვევს საქმის ნამდვილ მდგომარეობას და შემდეგ კრებაზე გააცნობენ კოლექტივს. არჩეულ არიან: ამხ. ხარტიშვილი, გაჩეჩილაძე, ლიბაური.

თედ. ხუხუნაიშვილი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

მუდმივი საწოლებით.

მიიღება ყოველგვარი ხნეულებიანი ავათმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ა. Ნ. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘ

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ᲔᲥᲘᲛᲘ Შ. Ა. ᲨᲐᲨᲙᲐᲜᲘ.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

13 დეკემბერს თფილისში ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ფულით 400 მან., „პასპორტი“, მოცემული სამტრედიის ყოფილი მაშახალის მიერ, „პროპუსკი“ ბათუმში შესასვლელი ლენერალ ყარალოვის ზიერ მოცემული, ნდობის ქაღალდი. მნახველს ვსთხოვ დამიბრუნოს უკან შემდეგი მისამართით: ქ. სამტრედია ილიკო გუნიას. გამომგზავნი მიიღებს საჩუქარს.

21 დეკემბერს ვორონცოვის ქუჩაზე ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔᲓ. საფულე-ფულით 4900 მან., ვექსილები და ნასყიდობის ქაღალდები. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: ვორონცოვის ქ. სასტუმრო „ვერდენი“ გიორგი ლეარსაბის ძე ბიბილეიშვილს. მომტანი მიიღებს საჩუქარს.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ფ. Ი. ᲯᲐᲨᲐᲠᲘᲫᲔ

მიიღებს შინაგანის, გულის, ელენის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დღის 11—1 საათამდე. საღამოს 5—7 ნიკოლოზოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲮᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ

(მუდმივი საწოლებით)

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲓᲝᲜᲮᲜᲘᲜᲘᲡᲐ

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

მედიცინის დოქტორი

Ა. Ბ. ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქუჩა. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ველის ტელ. № 49.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—85. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბავშვო 10—11 ს., Შ. ᲤᲐ. ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ქირ. ᲓᲐ ᲥᲐᲚ. 11—12 ს., Შ. Ი. ᲗᲐᲩᲜᲐᲫᲔ შინაგ. და საბავშო 11—12 ს., ნ. ა. ᲒᲐᲛᲠᲩᲔᲚᲘᲐ შინაგ. და ნერვ. დღის 12—1 ს., ა. Ჯ. ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. Შ. ᲢᲣᲒᲨᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ტყაბისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნები. 606 და 914 შეშხაპუნები. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო გახსოფილება ექ. Შ. ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲡᲐ და ი. ნ. ᲢᲔᲠ-ᲐᲙᲝᲤᲝᲕᲘᲡ ზედამხედველობით.

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲮᲐᲔᲘᲛᲝ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘᲡ

ᲗᲔᲓᲝᲠᲔ ᲮᲐᲣᲨᲐᲙᲐᲫᲔᲡ ᲫᲔ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—85.

ᲔᲥ. ᲓᲐᲪᲔᲓ Დ. Ბ. ᲨᲘᲨᲚᲝ-ᲮᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

შედიცინის დოქტორი ვენეკის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მიდიკურ-ქირურგიულ კოლეგიუმისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და აძლევს ხანგრძლივ დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲠᲐᲣᲨᲔᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ

დებულობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Პ. Ტ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

(ბაქოდან)

მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.

ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19.

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲘᲕᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ

ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ

იღებს სპეციალურად—მალარიით (ცივება) და მისი შედეგებით დასნეულებულნ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

ექიმი ქალი

Მ. Ს. ᲫᲐᲠᲨᲫᲘᲫᲔ—ᲮᲔᲑᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბებიო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ნ. Დ. ᲢᲣᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) დებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სხვადასხვა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხნევეის ფასთიანის გვერდით.

რენგტენისა და ელექტრონის ხხივებით ხამკურნალო კაბინეტი.

წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენგტენის კაბინეტის ყოფილი გამგე

დოქტორ Ა. Გ. ᲚᲔᲕᲔᲜᲨᲢᲔᲘᲜᲘᲡᲐ.

რენგტენო-ფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა. სპეციალური რენგტენო-დიაგნოსტიკა გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭეშეის ავადმყოფობისა. ელექტრო-მკურნალობა და მეხანო ტერაპია. მიღება დილის 10 ნახ.—1 საათ. და საღ. 4—7 საათ. მისამართი: კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ „ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ“ ᲓᲐᲡᲘ.

წარ. № 7. პარასკევს, 27 დეკემბერს წარ. № 7.

წარმოდგენილი იქმნება ისტორიული პიესა აქვ. ცაგარლისა

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲐ

4 მოქმ.

რეჟისორი ᲨᲐᲚᲕᲐ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ. მორიგი წარმომადგენელი ალ. გაჩეჩილაძე.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. მსახიობთა კავშირის დირექცია.

ადგილების ფასი მომატებულია. მზადდება: ტარიელ გოლუა, ანტიგონე.

(3—3)

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲤᲐᲠᲘᲚ-ᲓᲐᲡᲐᲮᲘᲠᲘᲡᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ამით აცხადებს თავის წევრების საყურადღებოდ, რომ პირველ იანვრიდან, 1919 წ.

ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲕᲠᲝ ᲒᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ

განახლებული ბარათების მიღება კავშირის წევრებს შეუძლიანთ კავშირის გამგეობის საცხოვრებელში (მიხეილის პროსპ. № 139) პირველ იანვრიდან.

(2—1) კავშირის გამგეობა.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗ.

1919 წლის 1 იანვარს რწმუნებლის ვადა უთავდებათ ქალაქის საბჭოს ხმოსანთ, რომელთმ თბილისის ქალაქის გამგეობა ატყობინებს თბილისის მოქალაქეთ, რომ 28, 29, და 30 ამა ქრისტეშობისთვეს მოხდება ხმა-დაძერი აღწერა ახალ საარჩევნო სიების შესადგენად.

აღწერის მოსახდენათ ქალაქის გამგეობამ დანიშნა რამდენიმე ბუნული აღმწერი, რომელთაც მიეცემათ ხელმოწერილი და ბეჭედ-დასმული მოწმობები.

აღწერის გაპიანურებისა და საარჩევნო სიებში ვისიმე გამოტოვების თავიდან ასაცილებლად ქალაქის გამგეობა სთხოვს თბილისის მოქალაქეთ აღწერის დღეებში (28, 29 და 30 ქრისტეშ). სახლში იყვნენ დილის 9 საათ. ნაშუადღევის 4 საათამდე. წინაადმდეგ შემთხვევაში დასტოვონ სახლში დაწერილებითი ცნობები როგორც თავისი, აგრეთვე ოჯახის შესახებ, ამ შემთხვევაში სავალდებულოა დასტოვონ საბუთები, რომლის ძალითაც შეტანილ უნდა იქმნენ საარჩევნო სიებში, რომელთათვისაც საჭიროა შემდეგი ცნობები: № კომისარიატისა, ქუჩისა, სახლისა და ბინისა. გვარი, სახელი და მამის სახელი. წლოვანება. ეროვნება. ხელობა. იცის თუ არა წერა-კითხვა.

აღმწერთა მუშაობის ასაჩქარებლათ და აგრეთვე სიების სრულ და სწორ შედგენისათვის, ქალაქის გამგეობა სთხოვს მოქალაქეთ—მიაწოდონ აღმწერთ საჭირო ცნობები, რომელთაც კი დამოკიდებულება ექნებათ საარჩევნო სიების შედგენასთან, და თუ საჭიროთ აღმოჩნდება, აჩვენონ ხოლმე საბუთებიც, რომელნიც უნდა აჩვენონ, რომ ესა თუ ის პირი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეა (პასპორტი, მეტრიკული მოწმობა, ან ნამსახურობითი სია—თავისი ან მამისა)—ჩამოწაგლობით ქართველნი ყოველივე შემთხვევაში ითვლებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებად. აქეთ ზემოდ აღნიშნულ საბუთების წარდგენა მათთვის სავალდებულო არ არის, გარდა მეტრიკული მოწმობისა იმ პირთათვის, რომელნიც გარეგანი შეხედულობით 20 წლისაზედ უმცროსნი არიან.

თუ რაიმე გაუგებრობამ იჩინა თავი აღმწერთა და მოქალაქეთა შორის, ქალაქის გამგეობა სთხოვს უკანასკნელთ მიმართონ საუბნო ბიუროებს.

საუბნო ბიუროები აღწერის დღეებში დიაიქნება დილის 9 ს. ნაშუადღევის 4 საათამდე—ქვემოდ ჩამოთვლილ ცამეტ ადგილს:

1 უბანი—სამოქალაქო პირველდაწყებითი სკოლა. ოლღას ქ. № 52 ს. მაჩაბლისა.
2 „ ვაჟების პირველი გიმნაზია. გოლოვინის პრ.
3 „ ქალების შესამე გიმნაზია. ლერმონტოვის ქუჩა.
4 „ მანთაშევის ქარვასლა. სომხების ბაზარი № 62.
5 „ პუშკინის სამოქალაქო სკოლა. ვორონცევის ქ.
6 „ ნადგეტინის თავშესაფარი.
7 „ ავლაბრის საბამბრო კლუბი.
8 „ პირველი საკომერციო სასწავლებელი.
9 „ სამოქალაქო სკოლა პეტრე დიდის სახელობაზე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29
10 „ ზუბალაშვილის სახალხო სახლი.
11 „ ნაძალადევის თეატრი. ჩერქეზოვის ქ.
12 „ რკინიგზის სასწავლებელი.
13 „ ხაბურთალოს კომისარიატი.

(3—1) **თფილისის ქალაქის გამგეობა.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕ. Ს.-Დ. ᲛᲣᲨ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠ. ᲙᲝᲛ. ᲓᲐ ᲗᲤ. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

გადავიდა ახალ შენობაში, გოლოვინის პროსპექტი, სახლი არაქელოვისა № 24, შუა სართული. ტელეფ. 3—67

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ამით აცხადებს, რომ გზისთვის საჭიროა 1000 ფუთი ხორბალი და 2,000 ფუთი სიმინდი. დაწერილებითი პირობების გაგება შეიძლება კახეთის რკინის გზის სამმართველოში (ელისაბედის ქ. № 73) სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ლეკვასთან, 9—3 საათამდე. ტელეფონი № 750. (3—1)

გამოვიდა და იყიდება ამხ. „ᲒᲚᲝᲑᲣᲡᲘᲡ“ გამოცემა

1919 წ. ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ-ᲬᲘᲗᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ 1919 წ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: 1. 1919 წლის თვალი. 2. სხ. და სხ. გამოსადეგი ცნობები (ფოსტა, ტელეგრაფი, სასამართლო, ზომა, წონა და სხვა). 3. ონიაშვილის წერილები: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, საქართველოს რესპუბლიკა, ერობა საქართველოში. 4. ლ. ასათიანის წერილები: ახალი აგრარული კანონები და მათი ისტორია, მოკლე მიმოხილვა მუშათა კანონმდებლობისა, ჯარი და გვარდია, საქართველოს ახალი სასამართლოები. 5. ივ. გომართელის წერილი—პირველი დახმარება უეცარ უბედურების დროს. 6. ს. ტიმოფეევის და ვაწაძის წერილი—ხვნა თესვის გაუმჯობესების აუცილებლობა. 7. არ. მამულაიშვილის ნეკროლოგი. 8. ვ. რუხაძის ლექსი „ახალი წელი“ და 9. თოთხმეტი სურათი საქართველოს ახალი გადო მოდგ წელთა.

ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘᲡ ᲦᲐᲜᲘ 8 Მ. 50 Კ.

აგენტებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ მანეთზე 20%. საწყობი კანტორა „ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ“-ᲨᲘ ოლღას ქ. № 6. (2—1)

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

საქართველოს რესპუბლიკის არსენალი ამით აცხადებს, რომ მას საჭიროდ სჭირდებ 8 მუედელი, 8 ფრის მკვრელი, 8 ზეინკალი თოფმჭიი, 8 ხარატი და 6 სარაჯი.

ცნობების მიღება შესახებ სამსახურის პირობებისა შეიძლება არსენალის სამდივნოში დილის 9 დან 3 საათამდე.

არსენალის უფროსი გვ. კაპიტანი ᲒᲘᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

(3—3) **საქმეთა მმართველი ᲨᲐᲒᲚᲐᲫᲔ.**

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ამით აცხადებს, რომ რადგანაც ტანისამოსისა და მოკაზმულობის სამზადისი ნაკლებათ მოიპოვება, სამხედრო მინისტრმა გასცა ბრძანება, რომ ჯარში გაწვეულ ახალგაზრდებს მიეცეს სასყიდელი იმ ტანისამოსისა, რომელსაც იგი მოიტანს, თუ ეს ტანისამოსი ვ რგა სახმარებლათ და შეეფერება არსებულ ფორმას.

დაწესებულია შემდეგი ფასები:

თითო მაზარაში	75	მანეთი
ხალათში	53	„
შარვალში	40	„
პერანგში	15	„
პერანგის ამხანაგში	15	„
ერთ წყვილ წინდაში	4	მან. 50 კ.
ერთ წყვილ წაღაში	120	„
ერთ წყვილ ბათინკაში	105	„

(3—3)

ამა წლის 29 აგვისტოს (ახ. სტილ.) ბელორეჩინსკაიას 9 ვერსით მომორებულ სტანიცა ფშეხოვსკაიას მახლობლად (ტუაფსე-არმავირის რაიონი) ბრძოლის დროს

ᲣᲙᲕᲐᲚᲝᲓ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ 1-ელ ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე-6-ე ბატარეის კანონირი

ᲓᲐᲒᲘᲗ ᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲔᲚᲘᲖᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობების მოწოდებას შესძლებს, დაბეჯითებით ვსთხოვ

ᲯᲘᲚᲓᲝᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ

შეგვატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი. მიხეილის ქ. № 1, საკუთარი სახლი, აროონ იაკობიძე ედიგულაშვილი. (12—10)

ᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ-ᲛᲔᲒᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡᲐ, ᲒᲐᲑᲐᲔᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 1.